ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## აურზაური თბილისის საკრებულოში

გვ.2



**12 თებერვლიდან**

სულხან საბა ორბელიანი

**სიბრძნე სიცრუისა**

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 2019 №36 (7891) ფასი: 60 თეთრი

# ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა ნორვეგიაში ქურდობისთვის დააკავეს

გვ.2



## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა არ არის“

## „ოცნების“ ჩინოსნებმა 1.5 მილიარდის ქონება მიიტაცეს“

გვ.3



„გათხაროდან შეტ..ვნა-შეც...მამდე თურმე რა მცირე მანძილი ყოფილა“

გვ.5





გვ.4

## ბათუ ქუთელია: „საქართველოს ნატოში გაწევრიანებით ევროატლანტიკური უსაფრთხოება მოიგებს“

**სამართალი** გვ.7



**ვალერი ირემაძე: „მე რა შუაში ვარ, ვერ გავიგე“**

გოგიტა ირემაძეს 20 ჭრილობა აქვს მიყენებული

**„ზესტაფონიდან ჩამოვედი თავის მოსაკლავად“**



რუსთავი 2-ის შენობასთან მამაკაცმა ვენები გადაიჭრა

**„მუხრუჭი ჩავარდა, აღარ დაიჭირა, დაქანდა ქვემოთ“**



წყნეთში ავტობუსი დაგორდა და ხეებს შეეჯახა, დაშავდა 7 ადამიანი

**ეკონომიკა** გვ.6



**„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი დაპირება ჩავარდა**



**როგორ გავიგოთ, რამდენი ლარია დაგროვილი ჩვენს საპენსიო ანგარიშზე**

**გიორგი ბაჩიაშვილი: საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი მთავარი საინვესტიციო მიმართულება ენერგეტიკის სექტორია**



ISSN 1987-9385

5 ეუთო საქართველოს კონფლიქტებისაგან დაზარალებულებზე ზრუნვას აპირებს

4 სულხან სალაძე: „როდესაც მოსამართლეთა უვადო დანიშვნის წესის გადადებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვისაუბროთ შესაძლო რისკებზეც“

6 იანვარში საქართველოს საგარეო ვალი გაეზარდა

5 რატომ არ შედის „კოკა-კოლა“ „კარფურსა“ და „ორ ნაბიჯში“

# აურზაური თბილისის საკრებულოში

## „ლევან ხაბეიშვილმა საკრებულო ერთი მსახიობის თეატრს დაამსგავსა“

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 12 თებერვალს თბილისის საკრებულო პატარა ლიეჟად გადაიქცა – მეოცნებეებმა და ნაციონალებმა ერთმანეთს დააყარეს. აშკარა უმცირესობაში ყოფნის მიუხედავად, ლევან ხაბეიშვილმა კარგად მოიგერია ოპონენტები, რომლებიც მას ისე დაესივნენ, როგორც დაჭრილ არწივს ყვავყორნები. ისინი აბეზარ ნაციონალს გამყინავი ხმით დაჰყვიროდნენ, შენ მართლა ხომ არაფერი გეშლება ბიჭოო.**

დეპუტატებს შორის კამათი და გაწევ-გამოწევა დედაქალაქის გენერალურ გეგმაში შესატან ცვლილებას მოჰყვა. ამ ცვლილებების მიხედვით სამგორში, მოსკოვის გამზირზე, 18 ახალი კორპუსი უნდა აშენდეს.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება გენგეგმის დამტკიცებამდე ცდილობს დედაქალაქის სამომავლო განვითარება კონკრეტულ ინტერესებს მოარგოს.

მის აქტიურობას მეოცნებეების მხრიდან დიდი მრისხანება მოჰყვა და ატყდა კივილი.

– შეიძლება, რომ აცადოთ, გიშლით ვინმე? თუ ეს კომენტარის მიცემა რამე პროცედურაში გაწერილია, რომ ხაბეიშვილს კომენტარის კეთება შეუძლია? კი არ ვნერვიულობთ, უნამუსობას როცა ვხედავთ, ვშფოთდები. ლევან, იტყუები! რას იტყუები, შენ მართლა, ხომ არ გეშლება რამე, რას იტყუები, თავხედი ხარ-მეთქი, გეუბნები, შენ ხარ თავხედი! – დაჰკიოდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე ხაბეიშვილს.

აბეზარ დეპუტატზე იერიში მიიტანა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ბექა დავითულიანმაც. მან ხაბეიშვილი საკრებულოს ერთი მსახიობის თეატრად გადაქცევაში დაადანაშაულა.

– აქ ზოგიერთ კოლეგას სურს, რომ ერთი მსახიობის თეატრად აქციოს ეს საკრებულო, რაც, რა თქმა უნდა, ასე ვერ იქნება, რომ იცოდე, ლევან. შეგიძლია, სახლში ჩაიკეტო და იქ იმსახიობო, აქ ეგ ამბავი არ გამოვა, – აღნიშნა ბექა დავითულიანმა.

სოხაძეს და დავითულიანს მხარი საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ზარქუამაც აუბა. მან ოპოზიციონერი კოლეგა პროკურორად გამოაცხადა.

– მნიშვნელოვანი თემები განვიხილეთ, თუმცა ვირტუალურ მთავრობას, რომელსაც ჩვენი ოპონენტები ქმნიან ოპოზიციიდან, ბატონი ხაბეიშვილი გენერალურ პროკურორად ჰყავთ დანიშნული, მანაც მანტია მოირგო და რაღაც მასკარადებს დგამს, სიცრუის



ტირაჟირებით არის დაკავებული. ეს მათი ნიშაა და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ. ნავთლუღის ტერიტორიაზე გავერანებული ადგილია და ცენტრის მაგივრად, სადაც სუნთქვა არ შეიძლება, ჩვენ პირიქით, შეიძლება მივცეთ ბიზნესს საშუალება, განაპირა რაიონებში, სადაც შესაძლებლობაა, იმ ფუნქციური ზონით მოხდეს განვითარება, რა ფუნქციური ზონაც არის. მთავარია, რომ ცენტრალურ უბნებში მაქსიმალურად შევზღუდეთ მშენებლობათა კოეფიციენტების მატება, ნებართვების გაცემა, ხოლო რაიონი და თბილისის შემოგარენი უნდა განვითარდეს.

სადაც ნებართვა გავეცით და შევითანხმეთ გენგემა. სტატუსის ცვლილება ახალ გენერალურ გეგმასთან შეთანხმებულია. ოპოზიციამ უბრალოდ დღეს გამოიღვიძა, კომისიაზე პასუხი გაეცათ, შემდეგ ხმა არ ამოუღიათ და მასკარადი აქ დადგეს, – განაცხადა ზარქუამ.

ხაბეიშვილი და ოპოზიცია საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემაც დაგმო. მან ოპოზიციის ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაში დაადანაშაულა. ტყემალაძის თქმით, საკრებულოს უმცირესობის წევრებს სიმართლის გაგება არ სურთ.

– თქვენ ფრაქციაში არიან ადამიანები, რომლებიც იყვნენ წინა მოწვევის საკრებულოში და არიან ახლაც. ძალიან მარტივი იქნებოდა გადაგემოწმებინათ ის საკითხები, რომლებზეც განცხადებებს აკეთებთ, მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ თქვენ არ გსურთ სიმართლის გაგება და ცდილობთ როგორმე მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანოთ, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ კონკრეტულ მაგალითებზე ისაუბრა. მან ნუცუბიძის ქუჩაზე მონაცვლეობის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დაახლოებით წელიწადნახევარია ეს განაშენიანების რეგულირების გეგმა შესულია საკრებულოში და საკრებულომ არ შეითანხმა ეს საკითხი სწორედ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მან ასევე უსაფუძვლო უწოდა ოპოზიციის განცხადებებს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საკითხთან დაკავშირებით.

– თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ახალი გენგეგმის მიმართულებით არ მივდივართ და ვიღებთ სხვა გადაწყვეტილებებს. დღეს კომისიის სხდომაზეც გაჩვენეთ, სამრეწველო ზონებთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებებს იღებს და გულისხმობს ახალი გენგეგმა, მაგრამ აქაც თქვენ არ მოისურვეთ, რომ გაცნობოდით საკითხს და ასე წინასწარ ამობეჭდილი გაფერადებული ფურცლებით მოხვედით, ალბათ გუშინ ბევრს ემზადებოდით ამისთვის. სიმართლე არის ის, რაზეც ფაქტები მეტყველებს, – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

# ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა ნორვეგიაში ქურდობისთვის დააკავეს



ნორვეგიაში ტექნიკის მაღაზიაში ქურდობის გამო აუდიტის სამსახურის თანამშრომელი, დეპუტატ ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა გრიგოლ აბრალავა დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ, 12 თებერვალს, კურიერმა გაავრცელა.

მოგვიანებით შსს-მ დაადასტურა ინფორმაცია ნორვეგიაში ჩადენილი ქურდობისთვის საჯარო მოხელეების დაკავებასთან დაკავშირებით.

როგორც შსს-ში განაცხადეს, ქურდობის ფაქტზე დაკავებულები არიან გრიგოლ აბრალავა, დეპუტატ ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა და კიდევ ერთი პირი, გვარად კიკნაძე.

შსს ამ ეტაპზე ნორვეგიიდან ოფიციალური ინფორმაციის მიღებას ელოდება.

გუშინვე დეპუტატმა ვანო ზარდიაშვილმა განაცხადა, რომ საკუთარ ცოლისძმაზე ინფორმაცია არ გააჩნია.

– ვერ გეტყვით, არ ვიცი, მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს. ბოდიში, თუ შეიძლება, კანონპროექტი გამაქვს, გადავიკითხავ. როგორ გითხრათ, ახლა სად არის ჩემი ცოლის ძმა. სად არის თქვენი ცოლის ძმა? თქვენი ქმრის ძმა? ძმის ცოლი სად გყავთ? რა ვიცი, არ მინახავს, არ მაქვს ხშირი ურთიერთობა. რატომ მესაუბრებით არასერიოზულ კითხვებზე.

ვიცი, რომ ბოლოს უნდა ყოფილიყო პოლონეთში, სწავლობს დოქტორანტურაში. ორი კვირაა, არ მინახავს. არ მაქვს ყოველდღიური კომუნიკაცია. დავურეკავ და დავაზუსტებ, – განაცხადა დეპუტატმა.

კითხვას, არის თუ არა მისი ცოლისძმა აუდიტის სამსახურის თანამშრომელი, ზარდიაშვილმა ასე უპასუხა:

– არ მახსოვს.

რუსთავი 2-მა კომენტარისთვის გრიგოლ აბრალავას მამას, ანზორ აბრალავას, მიმართა.

პარტია „ალორძინების“ ყოფილმა ლიდერმა განაცხადა, რომ მისი შვილი ერთი თვის წასულია საქართველოდან.

– უფასო შვებულება აიღო, როგორც მე ვიცი და წავიდა. ერთი თვის წასულია. პირად საქმეზეა წასული. არა აქვს უფლება, წავიდეს? თქვენ რაზე ხართ გამოსული დღეს აქ? ესე საქმეზე წავიდა ისიც. თუ გვარამიას შეუთანხმოს?

არ ვიცი რა მოხდა... თქვენ პროკურორი ხართ და თქვენ იცით ყველაფერი? მე კანონმორჩილი კაცი ვარ და არ ვიცი, რა ხდება. არის უცხო ქვეყანაში, რა მოხდა, არ ვიცი. მითხრეს, რომ არის ნორვეგიაში. მე ვიცოდი, რომ უნდა ყოფილიყო პოლონეთში ან გერმანიაში. ახლა სავიზო რეჟიმი იძლევა საშუალებას, რომ იმოძრაოს. თქვენ რა, უკრძალავთ?

მე მესმის, თქვენ ამას არ გაუშვებთ, ამოჭრით, ჩაჭრით... მაგრამ გეუბნებით, წავიდა, სააკაშვილი აინტერესებდა, როგორ არის. ის კოსტუმი ძალიან პატარა ჰქონდა და თქვა, მეცოდება, იქნება, კარგი ზომის კოსტუმი ვუშოვოო. ნორვეგიაში შეიძლება, იყოს კარგი კოსტუმიო... სერიოზულად გეუბნები, – განაცხადა ანზორ აბრალავამ.

* * *

გრიგოლ აბრალავას დაკავებაზე კომენტარი აუდიტის სამსახურშიც გააკეთეს.



როგორც „ნიუპოსტს“ უწყების მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, გრიგოლ აბრალავა მიმდინარე წლის იანვრის ბოლოდან აღარ მუშაობს აუდიტის სამსახურის სსიპ-ში.

უწყებაში განმარტავენ, რომ გრიგოლ აბრალავა იანვრამდე „სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტში“ სპეციალისტის თანამდებობას იკავებდა, თუმცა მან ორი თვის წინ დაწერა უფასო შვებულება და მიმდინარე წლის იანვრის ბოლოდან წავიდა სამსახურიდან.

– აღნიშნული პირის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ, რადგან ჩვენი თანამშრომელი არ არის, – უთხრეს „ნიუპოსტს“ უწყებაში.

# ბახტრიონზე №42 ავტობუსი სამარშრუტო ტაქსს დაეჯახა

თბილისში ბახტრიონის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს №42 მუნიციპალური ავტობუსი და კერძო სამარშრუტო ტაქსი შეეჯახა.



თვითმხილველების თქმით, კერძო სამარშრუტო ტაქსი, ავტობუსის გზაზე გახსნილი საბარგულით იდგა.

როგორც თვითმხილველებმა „ნიუპოსტს“ განუცხადეს, შეჯახების შედეგად დაშავდა 2 ქალი, 1 მცირეწლოვანს კი მსუბუქი დაზიანება სახეზე აქვს მიღებული.

ადგილზე მისული იყვნენ სასწრაფო და საპატრულო სამსახურები.

# რუსთავში, ლიფტის შახტში ხანძარი გაჩნდა




რუსთავში, მე-20 მიკრორაიონში, ერთ-ერთი კორპუსის ლიფტის შახტში ხანძარი გაჩნდა. ინფორმაციას ამის შესახებ ინფორუსთავი ავრცელებს.

ადგილზე მობილიზებულია რამდენიმე სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი. ხანძარი ამ დროისთვის ლოკალიზებულია.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მე-20 მიკრორაიონში ასევე იმყოფებოდნენ სასწრაფო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

# სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირებს სპეციალურ ბაზაში აღრიცხავენ




შინაგან საქმეთა სამინისტროში სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთა ბაზა შეიქმნება, ინფორმაციას ამის შესახებ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი ავრცელებს

ბაზის შექმნის მიზანი სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა კონტროლი და მათი მხრიდან მოსალოდნელი სექსუალური ძალადობისაგან არასრულწლოვნების დაცვა იქნება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ ჩინოსნებმა 1.5 მილიარდის ქონება მიიტაცეს“

## „გათხაროდან შეტ..ვნა-შეც...მამდე თურმე რა მცირე მანძილი ყოფილა“

შორენა მარსაგიშვილი

**რა თამაშს თამაშობენ „ოცნება“ და ნაცმოძრაობა, რატომ არ ხდება დამნაშავეების დასჯა, როგორ უნდა დაუბრუნდეს ქვეყანას ჩინოსნების მიერ მიტაცებული ქონება, რა სჭირს საზოგადოებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

**გიგლა ბარამიძე:**

– კლარინეტიდან შტაბკვარწირამდე, გათხაროდან შეტ..ვნა-შეც...მამდე თურმე რა მცირე მანძილი ყოფილა. ძვირფასო მკითხველო, რა სამწუხაროა, როდესაც ხელისუფლების პირველი პირები ასე მეტყველებენ და არაა გამორიცხული, რომ ასეც ფიქრობენ, მაგრამ რად გინდა, ყველაფერი – ათასნაირი აბრაკადაბრა მათ შერჩათ.

დღევანდელ ხელისუფლებას აქვს ერთი ოქროს ფრაზა, მისი უდიდებულესობა რა მოხდა მერე. რა მოხდა მერეთი ღებულობენ ინდულგენციას, თავშესაფარს, გამართლებას და ფრაზა – რა მოხდა მერე, ყოფილა მათი მამა მარჩენალი.

ამ ფრაზას თუ დავეყრდნობით, რა მოხდა მერე, თუ დაპირებული სამართლიანობა ვერ აღადგინეს; რა მოხდა მერე, თუ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არ შეიტანეს; რა მოხდა მერე, თუ მართლმსაჯულების სისტემა ვერ გააჯანსაღეს; რა მოხდა მერე, თუ ეროვნული დროშა ვერ დაკიდენ.

რა მოხდა მერე, თუ სახელმწიფო ჰიმნის ნაცვლად შალახო დაუკრეს; რა მოხდა მერე, თუ ქართულად ვერ მეტყველებენ; რა მოხდა მერე, თუ ხელისუფლებაში ჩამობრანძულები მოვიდნენ და ახლა ოფიციალური მილიონერები არიან; რა მოხდა მერე, თუ ტენდერებს ჯიბეში იდებენ; რა მოხდა მერე, თუ ყველა ჩინოვნიკი „ბიზნესმენია“.

**რა მოხდა მერე, საზღვარს თუ ვერ ვაკონტროლებთ; რა მოხდა მერე, თუ მსოფლიო დონის ტერორისტები შემოდიან და დიდი ოდენობით იარაღი შემოაქვთ; რა მოხდა მერე, თუ მოქალაქეობას ვყიდით; რა მოხდა მერე, თუ ქვეყნიდან ათასობით ქართველი გარბის; რა მოხდა მერე, თუ საერთაშორისო მაწანწალა, ძებნილი სააკაშვილი არსად არ მოვიკითხეთ**

რა მოხდა მერე, თუ ხალხი შიმშილობს და თავად პრემია-დანამატების სახით ათეულობით ათას ლარს ღებულობენ; რა მოხდა მერე, თუ არაქართული სიმბოლიკით არის ქვეყანა სავსე.

რა მოხდა მერე, საზღვარს თუ ვერ ვაკონტროლებთ; რა მოხდა მერე, თუ მსოფლიო დონის ტერორისტები შემოდიან და დიდი ოდენობით იარაღი შემოაქვთ; რა მოხდა მერე, თუ მოქალაქეობას ვყიდით; რა მოხდა მერე, თუ ქვეყნიდან ათასობით ქართველი გარბის; რა მოხდა მერე, თუ საერთაშორისო მაწანწალა, ძებნილი სააკაშვილი არსად არ მოვიკითხეთ.

რა მოხდა მერე, თუ აფხაზები და ოსები თავიანთ წარმომადგენლობებს ხსნიან სხვადასხვა ქვეყნებში; რა მოხდა მერე, თუ კრიმინალი გაიზარდა; რა მოხდა მერე, თუ ნარკოტიკების ლეგალიზება მოვახდინეთ; რა მოხდა მერე, თუ კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა გვაქვს.

რა მოხდა მერე, თუ მესაზღვრეებს და პოლიციელებს იმ ქვეყანაში შეძენილ თაფლს აჭმევ, რომელმაც მიწები წაგვართვა; რა მოხდა მერე, თუ ჩვენს ნაქებ, ნატოს სტანდარტების სამხედროებს უნიფორმაც კი არა აქვთ; რა მოხდა მერე, თუ საერთაშორისო ძებნილები მსოფლიო კონგრესებს ატარებენ.

მეშვიდე წელია, რაც „ქართული ოცნება“ ფრაზას – რა მოხდა მერეს არის ამოფარებული და ამას ითმენს საქართველოს მოსახლეობა.

– შეიძლება არ ითმენენ, მაგრამ ამ ფრაზას საზოგადოებაც კარგად ამოეფარა. ბევრ უკეთურობაზე ამბობს – რა მოხდა მერე თუ....

– მსოფლიოში არსებობდა ასეთი ტერმინები – ცივი ომი და რკინის ფარდა. ახლა საქართველოს ქოცურ-ნაცური, მრუმე, ვაზელინში ამოსვრილი ფარდა აქვს გადაფარებული. ეს ფარდა პოლიტიკურ ჭაობში ძირავს ჩვენს ნანინანატრ სამშობლოს – საქართველოს.

ყველაფერს აკეთებენ, რომ მოკლან მრავალპარტიული სისტემა. დღევანდელი სიტუაცია მაგონებს ერთ საოცარ, ჩლუნგების სპორტულ სახეობას, რომელიც ამერიკელებმა შექმნეს. სპორტის ამ სახეობას რესტლინგი ჰქვია.

სპორტის ამ სახეობაში ადამიანები ერთმანეთს აგინებენ, მუშტებს ურტყამენ. თავზე მუზარადები აქვთ ჩამოფხატული და ნახევრად შიშვლები არიან. მნიშვნელობა არა აქვს ქალია თუ კაცი. ყველაფერი წინასწარ დადგმული სპექტაკლია, გარშემო ბრბო ჰყავთ შემოხვეული, გაჰკივიან და აღტკინებისგან ბედნიერები არიან.

„ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ქართველ საზოგადოებას დაუდგეს ამერიკული რესტლინგი. ჩვენ დღეს ქოცურნაცური რესტლინგით ვცხოვრობთ.

ამ პროვინციული რესტლინგის გარღვევა თუ არ მოხდა, საქართველო გადაიქცევა ერთ ჩვეულებრივ არასამთავრობო ორგანიზაციად, რომელიც იმაზე იტატყანებს, რის ჭაჭყანსაც მას დამფინანსებელი დაუკვეთს.

ამის ნათელი მაგალითია ლიეჟში გამართული ნაცურ-ქოცური რესტლინგის მორიგი რაუნდი.

ლიეჟში მსოფლიო კონგრესი ჩაატარა საერთაშორისო ძებნილმა მიხეილ სააკაშვილმა. ვეკითხები თეა წულუკიანს, პროკურორებს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონ ჩუგოშვილს, როგორ მოხდა, რომ ქართული სამართლის მიერ ძებნილები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში თავისუფლად ყელყელაობენ.

ვეკითხები ხელისუფლებას, ვის მიერ მიცემული ყალბი თუ არაყალბი საბუთებით დაქრიან საერთაშორისო ძებნილები ერთი ქვეყნიდან მეორეში. რატომ არ ითხოვენ მათ დაკავებას და გადმოცემას? ძალიან კარგად ვიცი, რატომაც არ აკეთებენ ამას. მათი დაჭერა არ უნდათ იმიტომ, რომ სპექტაკლის სცენარით ეს გათვალისწინებული არ არის.

რამდენიმე დღის წინ ძალიან საინტერესო რამე მოხდა ბელგიის ტრადიციულ ქალაქ ლიეჟში. იქ გამართულ თავყრილობას მე ასე დავარქმევდი – ნაციონალური მოძრაობის სურათი ოჯახურ ინტერიერში.

ჩატარდა რაღაც შეკრება, რითაც დააშინეს საქართველოს მოსახლეობა – არიქა, მიშა შეიძლება ჩამოვიდეს და ამიტომ უფრო მყარად უნდა დავუჭიროთ მხარი „ქართულ ოცნებას“.

იქ „ოცნებამ“ რამდენიმეკაციანი დესანტი გადაისროლა და ნაცებთან ერთად შუაგულ ევროპაში გაიბითურეს თავი.

ნაცებმა ის დარბაზი ბოლომდე ვერ გაავსეს და სიცარიელე უზარმაზარმა დროშამაც კი ვერ დაფარა, რომელიც ცარიელ სკამებს გადააფარეს.

გაბითურებული საერთაშორისო მაწანწალა იდგა და თავადაც არ იცოდა, რას ბოდიალობდა. ერთი ტელევიზია რომ არა, ნაციონალური მოძრაობა უკვე აღარ იარსებებდა.

მინდა ვკითხო „ოცნების“ და ნაცების ლიდერებს, თუ იმის ფული და შესაძლებლობა გაქვთ, რომ ევროპაში რესტლინგის რაუნდები მოაწყოთ, აფხაზ და ოს სეპარატისტებს ასე თავისუფლად რატომ აპარპაშებთ.

***– რისკენ მოუწოდებთ ნაცებს და ქოცებს, რომ სეპარატისტებს სდიონ?***

– რატომაც არა. არაღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლები ევროპის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ოფიციალურ შეხვედრებს მართავენ.

***– საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ეს შეხვედრები ოფიციალური არ არის.***

– ოფიციალურია. ეს განმარტება სერიიდან – რა მოხდა მერე-დან არის. აფხაზები და ოსები ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში შეხვედრების გამართვის გარდა, ოფიციალურ წარმომადგენლობებსაც ხსნიან. ამ გახსნის ცერემონიალზე მივიდნენ ეს ნაც-ქოცი „გლადიატორები“ და მოაწყონ რესტლინგი.

მოაწყონ სკანდალი, მიიქციონ ყურადღება და ყველას უთხრან, რომ აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს ნაწილია. ამის ორგანიზება ნაცებსაც შეუძლიათ და ქოცებსაც, მაგრამ არც ერთი ამას არ გააკეთებს.

***– რატომ არ გააკეთებენ?***

– ერთ-ერთ წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ერთი სული აქვს ხელისუფლებას, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მოიშოროს თავიდან.



**გიგლა ბარამიძე: „ვისი გაცემული საბუთით დადის ძებნილი სააკაშვილი აქეთ-იქეთ“**

ნაცებიც და ქოცებიც აფხაზეთს და სამაჩაბლოს განგრენად თვლიან და ცდილობენ, როგორმე გათავისუფლდნენ ამ ტვირთისგან.

მივმართავ ქართველ საზოგადოებას, ჩამოიხსენით ფილისტერული ნიღაბი და გაიგეთ, რომ ნაცები და ქოცები ერთი ორგანიზმია – ნაცები „ოცნებას“ აცოცხლებენ, ქოცები – ნაცმოძრაობას. საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი დრო ძალიან მალე გავა და ისევ იმ დილემის წინაშე დადგებით, რომ „ოცნებას“ თუ არ მივეცით ხმა, მიშა დაბრუნდება.

ფეისბუქის ლომებო, მდედრნო და მამრნო, კლავიატურის კაკუნით რომ ბრძლვნით ყველაფერს, რატომ იჭყლეტთ ტვინს მომავალზე ფიქრით? ერთ მარტივ რეცეპტს შემოგთავაზებთ, რაც არის გამოსავალი. ამას მრავალპარტიულობა ჰქვია. ნაცებს და ქოცებს რაც შეეხება, არ ღირს, რომ რომელიმე მათგანს პოლიტიკურ საფლავში ჩაყვეთ. საბედნიეროდ, საქართველოში არიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტიები და მათ დაუჭირეთ მხარი. ნაცების და ქოცების პროვინციულ რესტლინგს მხოლოდ ასე დაასრულებთ.

ფილისტერული საზოგადოება შემთხვევით არ მიხსენებია. არც ნაცებს და არც ქოცებს არაფერი გამოუვიდოდათ, ხალხს მათთან ერთად სიტყვა დემოკრატია რომ არ გაეუფასურებინა.

ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელმაც დემოკრატია არა მარტო გავაუფასურეთ, არამედ გავაუპატიურეთ კიდეც – დემოკრატიის საფარით გვინდა, რომ ყოველი ულირსი დავფაროთ.

დემოკრატია ვაქციეთ მრუშობის და თავაშვებულობის სიმბოლოდაც. პოლიტიკური კოკეტკობის სიმბოლოდ კი ფაილების განადგურების აქცია იქცა.

„ოცნების“ ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინ, საზეიმო ვითარებაში გაანადგურა ფაილები, სადაც ნაცების მიერ გადაღებული მასალები ინახებოდა.

ეს ფაილები არის ჩვენი დემოკრატიის სახე. ჩვენ დღესაც ამ ფაილებით ვცხოვრობთ და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში ბევრი რამე იცვლება. ისეთი პროცესები მიდის, რომლებიც შეიძლება საქართველოს საკეთილდღეოდ იქნას გამოყენებული.

ამ პროცესებს არავინ უყურებს, სამაგიეროდ, ფაილებით ვცხოვრობთ, ამიტომაც გითხარით თავში, რომ ჩვენი პოლიტიკა კლარინეტიდან შტაბკვარწირამდეა და გათხაროდან შეტ...ნაშეც...მამდე ძალიან მცირე მანძილი ყოფილა.

***– ძალიან გაბრაზებული ჩანხართ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ტერმინებს არ გამოიყენებდით, თან მეორედ.***

– ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ ეს არ არის ჩემი სიტყვები. ასე უმაღლესი თანამდებობის პირები მეტყველებენ, რაც ქვეყნისთვის კიდევ ერთი უბედურებაა. ეს არანაკლები უბედურებაა, ვიდრე ძველი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა.

მოსამართლეები ვახსენეთ და მოდით ვთქვათ, რატომ შეიცვალა ხელისუფლება 2012 წელს. ეს ცვლილებები იმიტომ მოხდა, რომ ხალხი ვეღარ იტანდა უსამართლობას. ამ უსამართლობის შემოქმედი იყო ის ხალხი, რომელსაც ახლა „ოცნება“ უვადო მოსამართლეებად ნიშნავს.

„ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი რომ გამოვარდა და ამ მოსამართლეებზე გაიძახის, ეს რა საშინელებააო, აქამდე სად იყვნენ. აქამდე ამ მოსამართლეებთან ერთად კარგად ძოვდნენ. ახლა რაღაც ვერ გაიყვეს და მათი წარსული გაახსენდათ.

ამ ვითარებაზე ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოებას ეკისრება. როდესაც საზოგადოება არჩევანს ულირსი და დამნაშავე ხელისუფლების სასარგებლოდ აკეთებს, ის დანაშაულის თანამონაწილედ იქცევა.

არ მესმის, როგორ უნდა აიტანოს საზოგადოებამ ტარაკუჭა განათლების მინისტრების მთელი პლეადა. ერთმა ლამის ოპრიჩნიკები ჩააყენა სკოლებში, მეორემ ზნეობასა და მორალს შორის ზღვარი მოშალა, მესამემ კომბლეთი დაიწყო და ვაშლით დაამთავრა, მოქმედმა მინისტრმა, ბატიაანთ ბიჭმა კი, შეც....მით დაგვამახსოვრა თავი. თან ეს პარლამენტში გამოსვლისას თქვა.

შეიძლება ასეთი ფრაზეოლოგიით მოლაპარაკე კაცის ხელში იყოს განათლება, კვლევა, მეცნიერება, კულტურა, ახალგაზრდობის გაჯანსაღება, სპორტი?! პატარა ქვეყანა ჯარით და ატომური ბომბით ვერავის დაეტოლება. სამაგიეროდ, პატარა ქვეყანას შეუძლია განათლებით, ერის სიჯანსაღით და მეცნიერებით გაუსწროს დიდ ქვეყნებს.

რომელ ერის გაჯანსაღებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა მმართველი პარტიის წარმომადგენლები მარიხუანის ლეგალიზებას და კანაფის კულტივაციას უჭერენ მხარს.

უსირცხვილოდ გვეუბნებიან, კანაფის კულტივაციას იმიტომ ვუჭერთ მხარს, რომ ამით ბიუჯეტში დამატებით მილიარდი შევაო. ხელისუფლებას შევთავაზე მშვენიერი გეგმა, რომლითაც ბიუჯეტში ძალიან დიდი თანხები შევა. მხედველობაში მაქვს მიტაცებული სახელმწიფო ქონების დაბრუნება.

ამისთვის საჭიროა ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა, ოღონდ ეს სამსახური დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს. მას უნდა ჰყავდეს თავისი დაშიფრული, გასაიდუმლოებული აგენტები. ამის პროგრამა გამზადებული მაქვს და დეტალებში ვეტყვი, რა უნდა გაკეთდეს.

ამ სამსახურის ამოქმედების შემთხვევაში ორ თვეში შეიძლება ბიუჯეტისთვის 1,5 მილიარდის დაბრუნება. „ოცნებას“ ამის გაკეთება არ უნდა. იმიტომ არ უნდა, რომ ეს ქონება „ოცნების“ წევრებს აქვთ მიტაცებული.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების დეტალური ანალიზი გავაკეთე და ამდენი ჩინოსანი-ბიზნესმენი, რამდენიც დღეს საქართველოშია, არსად არ არის. ჩვენთან ყველა მეორე ჩინოსანს, თუ ყველას არა, აქვს თავისი ბიზნესი.

***– 1,5 მილიარდის ქონებაზე რომ საუბრობთ, ეს ქოცებმა მიითვისეს მარტო თუ ნაციონალების მიტაცებულიც შედის?***

– 2012 წლის შემდეგ მოხდა 1,5 მილიარდის ქონების მითვისება. ნაცებმა რაც მიითვისეს, ეგ ცალკე საკითხია. 1,5 მილიარდი სულ მცირეა, რეალურად ეს თანხა გაცილებით მეტია.

არ შეიძლება გაღატაკებულ ქვეყანაში ძალიან მდიდარი მინისტრები დააბოტებდნენ, რომლებიც, როგორც უკვე გითხარით, ხელისუფლებაში ჩამობრანძულები მოვიდნენ.

იაგო ნაცვლიშვილი

# ბათუ ქუთელია: „საქართველოს ნატოში გაწევრიანებით ევროატლანტიკური უსაფრთხოება მოიგებს“

## „თუ თანმიმდევრული პოლიტიკა იქნება, რუსეთის პროვოკაციები შემცირდება“

**ევროპაში ამერიკის არმიის ყოფილი მთავარსარდალი, გადამდგარი გენერალი ბენ ჰოჯესი ფიქრობს, რომ ნატომ შემდეგ სამიტზე საქართველო ალიანსში უნდა მიიწვიოს. ამბობს, კარგად ესმის, რომ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და პროცესი გრძელდება, მაგრამ მას აღმოსავლეთ გერმანიის პრეცედენტი მოაქვს მაგალითად, რომელიც საბჭოთა კავშირის ჯარისკაცების ოკუპაციის ქვეშ იყო.**

გენერალი ანაკლიის პორტის მშენებლობასა და საქართველოს მეტ ჩართულობაზე შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებითაც საუბრობს და ამბობს, რომ ეს ერთობლივი პროექტებით უნდა განხორციელდეს.

ჰოჯესის მოსაზრებების და მათი პრაქტიკაში განხორციელების შესახებ „ახალი თაობა“ აშშ-ში საქართველოს ყოფილ ელჩს ბათუ ქუთელიას ესაუბრა.

***— როგორ შეაფასებთ ბენ ჰოჯესის განცხადებებს და როგორ ფიქრობთ, მისი განხორციელება პრაქტიკაში რამდენად განხორციელებადია?***

— ბენ ჰოჯესი ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მეთაური იყო თავისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ხედვებით. განსაკუთრებით ევროპის და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით. ის საქართველოს მეგობარია და ძალი-



ან ხშირად ჩამოდის ხოლმე მაკკეინის ინსტიტუტის კონფერენციაზე, რომელსაც ჩვენ ვაწყობთ ხოლმე თბილისში. ასევე დეტალურად არის ინფორმირებული ამ დისკურსზე, რაც ეხება საქართველოს ნატოში გაწევრიანების თემას. აქედან გამომდინარე მე აბსოლუტურად ვეთანხმები ყველაფერს იმას, რაც მან ინტერვიუში თქვა. ვთვლი, რომ ეს არის ძალიან რეალისტური.

მეორე საკითხია, ამ რეალისტური გეგმის განხორციელებას რა კომპონენტები სჭირდება თავის ადგილზე.

***— რა კომპონენტები სჭირდება?***

— ეს არის საერთაშორისო კონტექსტი, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილების კონტექსტი და ასევე საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესები. ის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია, ჩვენს მომხრეებს ჰქონდეთ, რათა დააჩქარონ საქართველოს ნატოში გაწევრიანება.

***— რა მოლოდინი გაქვთ ამ თვალსაზრისით?***

— საქართველო იმსახურებს ნატოში გაწევრიანებას. ამით არა მარტო საქართველო მოიგებს, არამედ მთლიანად ევროატლანტიკური უსაფრთხოება მოიგებს ბევრს, ბევრს მოიგებს რეგიონალური უსაფრთხოება, ასევე იქნება ძალიან ძლიერი და სწორი ასიმეტრიული პასუხი რუსული აგრესიისთვის ევროპის მხრიდან, რომლის ერთ-ერთი ამოცანაც არის გაფართოების დაშვება. სწორედ ამიტომ არის პრინციპულად მნიშვნელოვანი ეს გადაწყვეტილება. ასევე ეს შედის ნატოს სტრატეგიულ ინტერესებში. როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო კუთხით.

მეორე საკითხია პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამას საქართველოს მხრიდან სჭირდება მაქსიმალურად უზრუნველყოფა იმ ძირითადი კრიტერიუმის, რასაც ჰქვია განუხრელი დემოკრატიული ტრანსფორმაცია.

აქ გარკვეული პრობლემები არის. ბოლო წლებში შეინიშნება სწორედ დემოკრატიის კუთხით ძალიან ბევრი უკან გადადგმული ნაბიჯი. რამაც შესაძლოა გაართულოს პროცესი. შესაბამისად, ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

***— არიან ქვეყნები, რომლებიც ყოველთვის ითვალისწინებენ რუსეთის პოზიციას და ვერ დგამენ ნაბიჯებს. ვგულისხმობ გერმანიას, საფრანგეთს და სხვა ქვეყნებს. ხომ არ არის საჭირო მეტი დიპლომატიური მუშაობა?***

— ბუნებრივია. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა პოზიცია აქვს. ასეთივე პოზიციები გვახსოვს ჩვენ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში. მაგრამ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა უზრუნველყვეს პროაქტიური დიპლომატიური მუშაობა. ძალიან ძლიერი ფრონტი გაშალეს ამ მიმართულებით. ასევე სწორად გამოიყენეს მიმდინარე გეოპოლიტიკური კონტექსტის სხვა პროცესები. მიაღწიეს ძალიან მყარ კონსენსუსს იმასთან დაკავშირებით, რომ დემოკრატიულობის ხარისხის გაუმჯობესება იყო ერთ-ერთი მთავარი საშუალება ამ მიზნის მიღწევისთვის.

სწორედ ეს უნდა გააკეთოს საქართველომაც.

პროაქტიურ დიპლომატიურ პოლიტიკას ასევე სჭირდება მყარი ეროვნული კონსენსუსი ქვეყნის შიგნით და ასევე, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომები, რათა სკეპტიკოსებს არ მივცეთ არგუმენტები ჩვენ საწინააღმდეგოდ.

***— ამ თემაზე ქვეყნის შიგნით კონსენსუსს თუ ხედავთ?***

— საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 80% უჭერს მხარს მეტ-ნაკლები ცვალებადობით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი იმისთვის, რომ ეფექტურად გამოვიყენოთ ეს როგორც საგარეო პოლიტიკურ არენაზე, ასევე ხელისუფლებაზე ზემოქმედების კუთხით, რათა მან არ დაუშვას ნაბიჯების უკან გადადგმა დემოკრატიის კუთხით. იმიტომ, რომ დემოკრატიის გაუარესება ავტომატურად ნეგატიურად აისახება აი ამ ჩვენს პროცესზე.

***— ბენ ჰოჯესმა ასევე ისაუბრა შავი ზღვის უსაფრთხოების პროექტებზეც. არსებობს ხოლმე ამ თემაზე შიში, რომ, შესაძლოა, ეს რუსეთმა გამოიყენოს და პროვოკაციები მოაწყოს. ალბათ არსებობს ეს რისკიც. როგორ შეიძლება ამ რისკის მაქსიმალურად თავიდან აცილება?***

— ეს რისკი არ არსებობს, თუკი იქნება კონკრეტული ქმედებები. უმოქმედობა იწვევს რუსეთის აგრესიას. გადაუწყვეტელობა პოლიტიკური თუ კონკრეტული ნაბიჯებისა და გადაწყვეტილებების ვერგადადგმის კუთხით. დემოკრატიულობის კუთხით სისუსტე იწვევს სწორედ აგრესიას.

რუსეთის ქცევის ყველა მაგალითმა აჩვენა ეს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო პრინციპული და თანმიმდევრული იქნება ნატო შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სისტემის აშენების კუთხით, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ რუსეთმა გადადგას პროვოკაციული ნაბიჯები.

თორემ, რუსეთი აქამდეც დგამდა და დგამს ძალიან ბევრ პროვოკაციულ ნაბიჯს. მათ შორის ბოლოს ყირიმის ანექსია და შემდეგ უკვე უკრაინელი სამხედროების დაპატიმრება იყო. ასეთი პროვოკაციული ქმედება მან შეიძლება ბევრი მონახოს. ასე რომ, სტრატეგიული გათვლების გაკეთება იმაზე, რომ რუსეთი არ გაღიზიანდეს, არის შეცდომა და მცდარი ნაბიჯი. ამან წარსულში ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა.

***— ანუ ყველაფერი მაინც ნატოს პრინციპულობაზეა დამოკიდებული?***

— დიახ. როგორც ნატოს პრინციპულობაზე, ასევე ჩვენს პრინციპულობაზე.

# სულხან სალაძე: „როდესაც მოსამართლეთა უვადო დანიშვნის წესის გადადებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვისაუბროთ შესაძლო რისკებზეც“



ვფიქრობ, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესის გადადება არ არის ერთადერთი საკითხი, რომლითაც შეგვიძლია სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრა უზრუნველვყოთ, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ სულხან სალაძემ განუცხადა.

სალაძე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის პროცესის გადადების ინიციატივას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის განახლებაა.

— ვფიქრობ, სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები უფრო დიდი და ფართოა, ვიდრე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესის მოქმედების შეჩერება. იუსტიციის საბჭო უნდა განახლდეს და იმ წევრებმა, რომლებმაც თავის დროზე სიის ნომინირებას დაუჭირეს მხარი, საკუთარი განცხადებების საფუძველზე პოსტები უნდა დატოვონ. ჩვენ უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებს. თუ იუსტიციის საბჭოს იგივე შემადგენლობა დარჩება, მხოლოდ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერება ვერ იქნება გამოსავალი. ცხადია, ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი ან გარკვეული ტიპის პრევენცია შეიძლება იყოს მათ შორის მოსამართლეთა დანიშვნის წესის შეჩერება, თუმცა ვფიქრობ, კარგად უნდა იყოს გააზრებული ის რისკები, რომლებიც შეიძლება ამ პროცესს თან ახლდეს, — განაცხადა სალაძემ.

რაც შეეხება რისკებს, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ამბობს, რომ იუსტიციის საბჭოს შეუძლია აღარ დანიშნოს მოსამართლეები, არ ჩაატაროს კონკურსები, ეფექტურად არ იფუნქციონიროს უმაღლესმა სკოლამ, არ მოიზიდოს რესურსები და შესაბამისი კადრები.

— რა თქმა უნდა, იუსტიციის საბჭოს ხელში არსებული ბერკეტების გამოყენება ფორმალურად თუ არაფორმალურად შექმნის გარკვეული ტიპის პრობლემებს. ამიტომ, ასე მგონია, როდესაც ამ პროცესებზე ვსაუბრობთ, ასევე უნდა ვისაუბროთ იმ შესაძლო რისკებზე, რომელიც თან ახლავს და ამ რისკების დაზღვევაზეც უნდა გვქონდეს ერთგვარი გათვლები, — აღნიშნა სულხან სალაძემ.

„ინტერპრესნიუსი“ დაინტერესდა, რას ფიქრობს საიას თავმჯდომარე დეპუტატ ეკა ბესელიას კიდევ ერთ ინიციატივაზე, რომელიც უვადოდ უკვე დანიშნულ 150 მოსამართლეს ეხება.

— მე არ ვიცნობ მეორე ინიციატივას, ამიტომ ჯერ თავს შევიკავებ შეფასებებისგან, თუმცა ვიტყვი ერთ რამეს — ისეთი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული, რომელიც პრობლემას შეუქმნის სასამართლო სისტემაში იმ მოსამართლეებს, რომელთა მიმართ საზოგადოებას კითხვები არ აქვს, — განაცხადა სალაძემ.

# გია ხუხაშვილი: „კირკიტაძის პატიმრობაში დატოვებით ხელისუფლება ოპონენტებს პოლიტიკურ დევნაზე საუბრის საფუძველს უქმნის“




ბოლო პერიოდში გახმაურებული ინციდენტების ფონზე, სადაც ხელისუფლება გადაჭარბებით ლოიალური იყო და წაყრუების რეჟიმში მუშაობდა, კირკიტაძის დაპატიმრება ტოვებს შერჩევითი სამართლის არსებობის საფუძველს, — ასე გამოეხმაურა ექსპერტი გია ხუხაშვილი მოსამართლის გადაწყვეტილებას დავით კირკიტაძის პატიმრობაში დატოვების შესახებ.

როგორც გია ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლო საჭიროებს ძირეული რეფორმის ჩატარებას, რათა დღეს არსებული დრამატული ვითარება შეიცვალოს.

— ბოლო პერიოდში გახმაურებული ინციდენტების ფონზე, სადაც ხელისუფლება გადაჭარბებით ლოიალური იყო და წაყრუების რეჟიმში მუშაობდა, იგივე ჭიდაობის ფედერაციაში განვითარებულ მოვლენებში, გეგეშიძის ეპიზოდი ავიღოთ, კირკიტაძის დატოვება ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება, რითაც ხელისუფლება უქმნის ოპონენტებს პოლიტიკურ დევნაზე საუბრის საფუძველს. ამ შემთხვევაში შერჩევითი სამართლის სუნი ტრიალებს და ეს არის ძალიან სამწუხარო.

ჩვენი სასამართლო იქცა „ავგიოსის თავლად“ და სწორედ ახლა მიდის ის დიდი პროცესი, რომელიც უნდა დასრულდეს სასამართლოში ძირეული რეფორმის ჩატარებით, რადგან განსაკუთრებით ამ ფონზე, როდესაც საზოგადოება სასამართლოში არსებულ მანკიერებაზე საუბრობს, მოსამართლეების მონური მდგომარეობის ხარისხი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ისინი გრძნობენ, რომ მთლიანად ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული მათი მომავალი. ახლა გვაქვს ძალიან დრამატული ვითარება და სასწრაფოდ უნდა ვნახოთ გამოსავალი, თორემ საბოლოოდ აღმოჩნდება სასამართლო პოლიტიკურ ვერტიკალში ჩასმული, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მოსამართლემ დავით კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დავით ნარიმანიშვილმა მიიღო.

# გრიგოლ გეგელია: „დავით კირკიტაძის პოლიტიკური დევნა გადაჭარბებული მგონია“



განცხადებები, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არის დავით კირკიტაძის პოლიტიკური დევნა, შესაძლოა, გადაჭარბებული იყოს, — აღნიშნული განცხადება პოლიტოლოგმა გრიგოლ გეგელიამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დავით კირკიტაძის პატიმრობაში დატოვების შესახებ საუბრისას გააკეთა.

— დავით კირკიტაძემ ყველას დასანახად ჩაიდინა დანაშაულებრივი აქტი, მაგრამ სადავოა ფაქტი, თუ რამდენად ადეკვატურია ნორმა, რითაც მას შეეფარდა პატიმრობა. ეს არის იურისტების განსასჯელი. სასამართლოს აქვს განუზომლად დიდი არჩევანი და შესაძლებლობა, მას სურვილის შემთხვევაში შეეძლო პატიმრობაში არ დაეტოვებინა იგი.

რაც შეეხება განცხადებებს, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკური დევნა, შესაძლოა, გადაჭარბებული იყოს, რადგან ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ დავით კირკიტაძემ ჩაიდინა დანაშაული. საკითხავია ის, თუ რამდენად ადეკვატურია ამხელა ზომის გამოყენება მაშინ, როდესაც ქვეყანაში ყოფილა სხვა ტიპის „ქეისებიც“, როდესაც ჯარიმა შეეფარდა ადამიანს და არა პატიმრობა. მიუხედავად ამისა, განცხადებები, რომ კირკიტაძის დაკავება ცალსახად პოლიტიკური დევნაა, გადაჭარბებული მგონია იმიტომ, რომ ჩვენ ვნახეთ დანაშაულის მომენტი, — განაცხადა გრიგოლ გეგელიამ.

პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლება ამ სახით ძალის დემონსტრირებას ცდილობდეს.

— შეიძლება ასეც იყოს იმისთვის, რომ უფრო მყარი ხელი გამოაჩინოს ხელისუფლებამ. უნდა გვახსოვდეს, რომ შემთხვევა მოხდა პრეზიდენტის ინაუგურაციაზე. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას სურდა ეჩვენებინა, რომ ის არის ერთადერთი მთავარი მაკონტროლებელი ქვეყანაში, — აღნიშნა გეგელიამ.

შეგახსენებთ, რომ მოსამართლემ დავით კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დავით ნარიმანიშვილმა მიიღო.

# რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა არ არის“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, გაზაფხულისთვის ნაციონალური მოძრაობა საპროტესტო აქციებს აანონსებს. სააკაშვილი ემიგრანტებთან ერთად დაბრუნებით იმუქრება. ეს მორიგი ცრუ დაპირებაა თუ შეიძლება მართლაც აწყობდეს პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად დაბრუნება?***

– რა დასაყრდენი აქვს საქართველოში სააკაშვილს?! ენდიაის კვლევებით ჩვენ ვნახეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ყველაზე მიუღებელი პარტია.

***– თუმცა, ის მეორე პარტიაა.***

– დიახ. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიაა, გეთანხმებით, მაგრამ ეს არის და ეს, ის ხომ არ არის პირველ ადგილზე?! სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა იმდენად არაპოპულარულები არიან, რომ ისინი ვერ მობრუნდებიან ხელისუფლებაში და მე ვფიქრობ, რომ ძალაუფლების დაბრუნება არც არის მისი მიზანი.

***– აბა რა არის მიზანი?***

– დესტაბილიზაციის მოწყობა.

***– თუ ძალაუფლების დაბრუნება არ არის მიზანი, მაშინ დესტაბილიზაცია რაში უნდა აწყობდეს?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს რუსეთის დავალება, როგორც, მაგალითად, უკრაინაში. რუსეთს არ აწყობს, რომ საქართველოს სტაბილური ქვეყნის იმიჯი ჰქონდეს დასავლეთში, რუსეთი ამით ბევრს კარგავს დასავლეთის თვალში და ზოგადადაც.

თუმცა, თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, სააკაშვილი რომ დაბრუნდეს საქართველოში, მან იცის, რომ იმ წუთში დააკავებენ და მატროსოვის ციხეში ამოყოფს თავს.

***– ის არჩევნების წინ იმუქრება დაბრუნებით, რასაც კარგად იყენებს ხელისუფლება. თითქოს ეს ერთგვარი მესიჯია, რომელიც ორივეს აწყობს.***

– დიახ, მაგრამ თუ მიზანი ძალაუფლების დაბრუნება არ არის, მით უფრო არ ჩამოვა. არ ჩამოვა იმისთვის, რომ გმირი გახდეს, რადგან მას ხელისუფლება არ სჭირდება. იცის, რომ ვერასდროს ველარ დაბრუნდება ხელისუფლებაში. ვინ, ვინ, და ყველაზე კარგად ნაციონალურმა მოძრაობამ და მიხეილ სააკაშვილმა იცის, რომ ხელისუფლებაში ველარ მობრუნდებიან.

ამის კარგი მაგალითი იყო თუნდაც ბელგიის შუაგულში განვითარებული მოვლენები – დარბაზში მყოფი ხალხი და დარბაზს მიღმა მყოფები. ჩვენ ვნახეთ სააკაშვილის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ეს ხალხი არ იყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ისინი იყვნენ პირადად სააკაშვილის მოწინააღმდეგეები. ამას ამბობდნენ კიდეც, არც მალავდნენ, რომ, მაგალითად, სააკაშვილის მმართველობის დროს იყვნენ დაკავებულები, ციხეში და შემდეგ უკვე ემიგრაციაში წასულები.

მან იცის, ის ველარ მობრუნდება ხელისუფლებაში და ამიტომაც ფიქრობს, რომ გარისკვას აზრი არ აქვს. თან სააკაშვილი არ არის გამბედავი პოლიტიკოსი.

***– ფიქრობთ, მორიგი ცრუ განგაშია?***

– რასაკვირველია. სააკაშვილი არ არის დამბრუნებელი, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ამ პირობებს, რაც დღეს არის. მათ აქვთ ის სტატუსი, რომელიც აქვთ და შეეცდებიან, რომ ეს სტატუსი არ დაკარგონ.

***– გულისხმობთ მეორე პარტიად ყოფნას?***

– დიახ, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი მათ არ უნდა დაკარგონ. მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ეს არის სააკაშვილის დავალება მისი გუნდისადმი. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ არც იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა უკვე აღარ იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა მომავალი არჩევნების შედეგად.

***– ვინ შეიძლება იყოს?***

– „პატრიოტთა ალიანსი“. ეს პარტია დღითიდღე იკრებს ძალას. მათ აქვთ სწორი სტრატეგია შერჩეული, ისინი ლანძღავენ ორივე ძალას, ხელისუფლებასაც და ყოფილ ხელისუფლებასაც, რაც ხალხს მოსწონს.

***– 2020 წელის საპარლამენტო არჩევნებზეც იმუშავებს ეს ფორმულა „მიშა მოდის“?***

– 2020 წლამდე ჯერ ადრეა, მე არ გამოვრიცხავ, რომ მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც ეს დღეს წარმოგვიდგენია.

***– რას გულისხმობთ?***

– სხვადასხვა გადაჯგუფებებს, თუნდაც ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენას. ჯერ წინ ბევრი დროა საამისოდ. ალბათ ეს მოზაიკა დალაგდება და ჩვენ უფრო მეტი გვეცოდინება, თუ როგორი იქნება 2020 წლისთვის პოლიტიკური რეალობა საქართველოში. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ გაზაფხულზეც, როგორც ყოველთვის, პოლიტიკური ცხოვრება აუცილებლად გაცოცხლდება.

# რატომ არ შედის „კოკა-კოლა“ „კარფურსა“ და „ორ ნაბიჯში“




– „ორი ნაბიჯის“ შემდეგ უკვე 2 თვეა „კოკა-კოლა“ არც „კარფურში“ იყიდება. 2 ბიზნესსუბიექტს შორის ხელშეკრულების გაწყვეტის დეტალური მიზეზები არ ხმაურდება. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელი თემურ ჭყონია „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ქსელთან მოლაპარაკება გრძელდება. „მაგრამ, თუ ვერ შევთანხმდით, „კარფურში“ „კოკა-კოლა“ არ გაიყიდება და მორჩა. ჩვენ რეალიზაციის პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს, – ამბობს ჭყონია.

როგორც ცნობილია, რითეილის ბაზარზე თამაშის თავისებური წესები მოქმედებს, რომლებსაც ისინი მწარმოებლებს უყენებენ. ამ წესებს შორისაა პროდუქციის შეტანის გადასახადი (ე.წ. ლისტინგი), „ქეშბექი“, ექსკლუზიური ფასდაკლება, მარკეტინგული ბიუჯეტის შეთანხმება, გაყიდვების წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესრულება და ა.შ. სწორედ ამგვარი პირობების გამო, მცირე წარმოებას ქსელებში შესვლაზე პრობლემები ექმნებათ. თუმცა ქართულ რეალობაში დაზღვეული არც მსხვილი ბიზნესია. მაგალითად, უკვე ორი თვეა „კოკა-კოლა“ არ იყიდება სუპერმარკეტების ქსელში „კარფურში“, მანამდე კი იყო „ორი ნაბიჯი“.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელი თემურ ჭყონია აცხადებს, რომ „კარფურთან“ მოლაპარაკებები ისევ გრძელდება და თუ შეთანხმება შედგა, დისტრიბუციაც განახლდება. მისივე განცხადებით, „კარფურს“ თავისი პირობები აქვს, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ – თავისი, ამ ეტაპზე კი შეთანხმება ვერ ხერხდება.

– ბევრი თემა და საკითხია, რომლის დალაგებაც გვინდა როგორც „კარფურთან“, ისე ყველა სხვა რითეილერთან. ჩვენი სურვილია, გავაფორმოთ ისეთი ხელშეკრულებები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი იქნება. დღეს კი ასეთი სტანდარტის ხელშეკრულების დადება ქსელებთან არ ხდება. ყველას თავისი მოთხოვნები აქვს, მათ შორის, „კარფურს“. ამჟამად მოლაპარაკებების პროცესში ვართ, თუ შევთანხმდით, დისტრიბუცია განახლდება, მაგრამ, თუ ვერ შევთანხმდით, „კარფურში“ „კოკა-კოლა“ არ გაიყიდება და მორჩა. ჩვენ კი რეალიზაციის პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს. ყველა ობიექტს ვუფრთხილდებით, პატივს ვცემთ, მაგრამ პატივისცემა მათგანაც უნდა მოდიოდეს.

რაც შეეხება „ორ ნაბიჯს“, მან ჩვენი კონკურენტი არჩია და ახლა ის იყიდება ამ ქსელში. თუმცა ახლა „ორი ნაბიჯის“ თემას საერთოდ აღარ განვიხილავთ. მათ ისეთი ფილოსოფია აქვთ, უკვე აღარც გვახსოვს მაგ ქსელის არსებობა. სამაგიეროდ, არსებობენ ისეთი ქსელები, როგორიცაა „ნიკორა“, „ზღაპარი“, „უნივერსამი“ და ბევრი სხვა, რომლებთანაც ძალიან კარგი ბიზნესურთიერთობა გვაქვს, – აცხადებს „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას თემურ ჭყონია.

მისივე თქმით, არიან ბიზნესმენები, რომლებიც ქსელებთან დათმობაზე მიდიან ასეთი განწყობით – „ცოტას ხომ მაინც მოვიგებთ“:

– ჩვენ ასე არ ვმუშაობთ. ეს არის მორალური გაჭირვების ნაბიჯი. ჩვენ ისე არ გვიჭირს და არც არავის არ უნდა უჭირდეს, რომ ასეთ დათმობაზე მიდიოდეს. აუცილებელია, რომ ყველამ ურთიერთობაში თავის ბრენდის პროდუქციის იმიჯი დაიცვას, – ამბობს ჭყონია.

კითხვაზე, აისახა თუ არა „კარფურში“ რეალიზაციის შეწყვეტა „კოკა-კოლას“ გაყიდვების საერთო მაჩვენებელზე, ჭყონია განმარტავს, რომ არ ასახულა: „ზოგადად, ყველა იმ ქსელში, სადაც ჩვენი პროდუქტია შესული, „კოკა-კოლას“ რეალიზაცია 3-4-ჯერ უსწრებს კონკურენტების პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელს. „კარფურში“ 2 თვეა აღარ შევდივართ, მაგრამ რეალიზაციაზე ეს არ ასახულა. მეტსაც გეტყვით, სხვა ქსელებში ჩვენი პროდუქციის გაყიდვების მაჩვენებელი 20%-ით გაიზარდა კიდეც. „კოკა-კოლას“ თავისი ლოიალური მომხმარებელი ჰყავს და ის სხვა სასმელს არ იყიდის“ – განაცხადა ჭყონიამ.

ცნობისათვის, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ 1996 წელის 23 აპრილს დარეგისტრირდა. 2016 წლის 2 დეკემბერს განხორციელდა მისი რესტრუქტურიზაცია და ის სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია იყო 16 ინდივიდუალური აქციონერის საკუთრება. ჯგუფის ძირითადი აქციონერი (87.47%) და საკონტროლო პაკეტის მფლობელი ბიზნესმენი თემურ ჭყონიაა. დანარჩენ აქციებს ფლობენ კომპანიის თანამშრომლები (8.04%) და სხვა პირები. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მთლიანი აქტივების ღირებულება 185 მილიონ ლარს შეადგენდა. კომპანიის მიერ გამოქვეყნებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2017 წელს მისი შემოსავალი 17%-ით 137 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება „კარფურს“, მისი იურიდიული სახელი არის „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ – კომპანია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული იურიდიული პირის შვილობილია და UAE-ს ინვესტიციას წარმოადგენს. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ 2011 წლის 23 დეკემბერს დარეგისტრირდა. ბოლოსთვის კომპანია წარმოდგენილი იყო 13 ობიექტით: თბილისში – 2 ჰიპერმარკეტი, თბილისში – 10 სუპერმარკეტი, ბათუმში – 1 სუპერმაკეტი.

TBC Capital-ის კვლევის მიხედვით, „კარფური“ არის გაყიდვებით რითეილის ბაზრის მთავარი მოთამაშე. მისი შემოსავლები ბოლო 4 წლის განმავლობაში 40%-ით გაიზარდა და 2017 წელს 370 მლნ ლარი შეადგინა. მას ბაზრის 29% უკავია.

TBC Capital-ის კვლევით კი, „ორ ნაბიჯს“ ბაზრის 13%-იანი წილი უკავია. რითეილ ბაზარზე ამ ბრენდის პირველი მაღაზია თბილისში 2010 წელს გაიხსნა და დღეს ის 131 ობიექტით არის წარმოდგენილი.

**კომერსანტი**

# ეუთო საქართველოს კონფლიქტებისაგან დაზარალებულებზე ზრუნვას აპირებს

## რა პოზიციას დაიკავებს ევროკავშირის სპეცწარმომადგენელი?

მარიამ მჭედლიშვილი

**იმ ფონზე, როცა საქართველოს მოქალაქეებს წარამარა იტაცებენ საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ადგილებიდან, საერთაშორისო ტრიბუნებზე საქართველოს კონფლიქტები თითქმის არ განიხილება, მრავალმხრივი ჟენევის მოლაპარაკებები კი ფორმალურ შეხვედრებად გადაიქცა, საყურადღებოა ნებისმიერი ნუგეშისმომცემი განცხადება ამ საკითხებზე.**




საქართველოში ჩამოსულმა ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიროსლავ ლაიჩაკმა გამოთქვა მზადყოფნა, საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში ორგანიზაციის მეტად ჩართულობის შესახებ.

მისი დაპირებით, ეუთოსთვის პრიორიტეტული იქნება კონფლიქტებისაგან დაზარალებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება.

ეუთოს თავმჯდომარე შეეხო ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების შელახვას და უსაფრთხოების პრობლემებს. ამისათვის ასამოქმედებელია საერთაშორისო მექანიზმები.

მანამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებზე ისაუბრა ბრიტანელმა მკვლევარმა თომას დე ვაალმა. აფხაზეთში ქართველების დისკრიმინაცია მანაც აღიარა. დე ვაალის თქმით, წინათ ევროკავშირს ამ რეგიონების მიმართ არაერთი ინიციატივა ჰქონდა, მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროკავშირს ენთუზიაზმი გაუქრა.

ევროკავშირი, ისევე, როგორც ეუთო, ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეები არიან. როგორც ჩანს, ევროკავშირის მონაწილეობა მოგვარების პროცესში ძირითადად ამით შემოიფარგლება.

ევროკავშირის ახლანდელი სპეცწარმომადგენელი სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარია.

კლაარმა შეცვალა დიპლომატიურ სკანდალში გახვეული ჰერბერტ ზალბერი. ზალბერმა „გაპრეზიდენტება“ მიულოცა ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის რეჟიმის ხელმძღვანელ ანატოლი ბიბილოვს.

როცა ოფიციალურმა თბილისმა მას ამის გამო განმარტებები მოსთხოვა, ზალბერმა მშვიდად განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ჯერ კიდევ ზალბერამდე ცხინვალის რეგიონის მაშინდელი საოკუპაციო რეჟიმი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ აღიარების პოლიტიკას მხარდამჭერები ჰყავს ევროკავშირშიც. პროვოკაციული იყო ეს გამონათქვამები თუ საფუძვლიანი, უცნობია.

ტოივო კლაარი მართავს შეხვედრებს, რომლებიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას ეხება.

შესაძლოა, საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში და კონფლიქტებისგან დაზარალებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებაზე ეუთომ სხვებზე მეტად მართლაც იზრუნოს.

რაც შეეხება ევროკავშირს, გამოითქმის პროგნოზები იქ მოსალოდნელი ნეგატიური ძვრების თაობაზე. ექსპერტების ნაწილი შიშით მოელის ევროპარლამენტის მორიგ არჩევნებს. არსებობს ვარაუდი, რომ ევროკავშირის მომავალ შემადგენლობაში ბევრი პოპულისტი და ევროსკეპტიკოსი მოხვდება. ეს დეპუტაცია დაბლოკავს ევროკავშირის სტრუქტურების ბევრ გადაწყვეტილებას. ნაციონალისტური და რადიკალური პარტიები ძლიერდებიან უნგრეთში, პოლონეთში, შვედეთში, ესპანეთში.

ევროპარლამენტის დღევანდელი ფრაქციებიდან ანტიგლობალისტურად მიიჩნევიან „ერებისა და თავისუფლების ევროპა“, „ევროპა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის“, ასევე – „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები“.

თუ მომავალი ევროპარლამენტი რადიკალური ჯგუფებით დაკომპლექტდა, შესაძლოა, გადაიხედოს ევროკავშირის სამშვიდობო მისიის საკითხიც.

# საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს წევრებს უცხოეთში ეძებენ




მოქალაქეთა საპენსიო დანაზოგის განმკარგავი პირების ვაკანსია წამყვან საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნდება. ამის შესახებ საპენსიო სააგენტოს დირექტორმა ლევან სურგულაძემ რადიო „პალიტრას" გადაცემაში „საქმე" განაცხადა.

მისივე თქმით, საინვესტიციო საბჭოს შესაქმნელად კანონით განსაზღვრულ პროცედურებს ზუსტად მიჰყვებიან. როგორც სურგულაძემ აღნიშნა, თითქმის უკვე შერჩეულია კომისია, რომელმა საბჭოს წევრები უნდა შეარჩიოს.

– 7 კაციანი შესარჩევი კომისია იქნება, რომელიც საინვესტიციო საბჭოს შემადგენლობას შეარჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. შესარჩევ კომისიაში სამი პარლამენტის წევრი, სამი საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ერთი დამოუკიდებელი წევრი იქნება ეროვნული ბანკიდან. რაც შეეხება უშუალოდ საინვესტიციო საბჭოს, მისი შემადგენლობა 5 წევრი იქნება, რომელთა შესარჩევადაც ვაკანსია წამყვან საერთაშორისო გამოცემებში გამოცხადდება. დიდი ალბათობით ეს გამოცემები იქნება – „ეკონომისტი" და „ფაინენშალ თაიმსი". აპლიკაციების წარდგენისთვის სავარაუდოდ, 3 კვირიანი, 21 დღიანი ვადა იქნება და საბჭოს წევრების შერჩევის პროცესი ღიად და გამჭვირვალედ ჩატარდება. შედეგად შეირჩევიან ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც უკვე მართავდნენ ამ ტიპის ფონდებს ან აქტივების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, – აღნიშნა სურგულაძემ.

ცნობისთვის, სურგულაძის განცხადებით, დღეის მდგომარეობით საპენსიო ფონდში 50 მლნ ლარზე მეტია მობილიზებული. ფონდში არსებული თანხა ამჟამად ნომინალურ ანგარიშებზეა განთავსებული და სარგებლის სახით 5-6% ერიცხება.

შეგახსენებთ, რომ ამონაგების მიღების მიზნით, საპენსიო აქტივების ინვესტირება სხვადასხვა კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში იგეგმება. საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკა კი დამოუკიდებელი საინვესტიციო საბჭოს მიერ ყალიბდება და ხორციელდება.

**ბპნ**

# როგორ გავიგოთ, რამდენი ლარია დაგროვილი ჩვენს საპენსიო ანგარიშზე



დაგროვებითი საპენსიო სისტემა მიმდინარე წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა და დასაქმებულმა, მისმა დამსაქმებელმა და სახელმწიფომ, დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2-2-2%-ის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე უკვე შეიტანა.

თუ როგორ უნდა გავიგოთ, რა თანხაა დაგროვილი ჩვენს საპენსიო ანგარიშზე, საპენსიო სააგენტოს დირექტორმა ლევან სურგულაძემ რადიო „პალიტრას" გადაცემაში „საქმე" უპასუხა.

მისი თქმით, ამისთვის საჭიროა, მოქალაქე შევიდეს საპენსიო სააგენტოს ვებ-გვერდზე, გაიაროს რეგისტრაცია და საკუთარი ანგარიშის შესახებ დეტალურად შეიტყობს.

– იმისთვის, რომ გადაამოწმოთ რამდენი თანხაა დაგროვილი თქვენს საპენსიო ანგარიშზე, უნდა შეხვიდეთ ჩვენს ვებ გვერდზე – პენსიონს.გე, სადაც იპოვით ღილაკს „საპენსიო სააგენტოს სისტემაში გადასვლა. დააწვებით ღილაკს და შეხვალთ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, სადაც უნდა ჩაწეროთ თქვენი ბუღალტრის მიერ გადმოცემული დროებითი პაროლი და სახელი (ე.წ ლოგინი, სადაც თქვენი პირადი ნომერი უნდა ჩაწეროთ). შემდეგ სისტემა მოგთხოვთ დროებითი პაროლის შეცვლას, რამდენიმე კითხვას უპასუხებთ და თქვენი გვერდი გადაფორმირდება, სადაც დაინახავთ პირად ანგარიშსაც, დამსაქმებლებსაც, მათ მიერ გადმორიცხულ თანხასაც და ა.შ., – განაცხადა ლევან სურგულაძემ.

ცნობისთვის, საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა, რომელშიც ავტომატურად ჩაერთო ყველა დასაქმებული, მათ გარდა, ვისაც კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა – 60 წელი მამაკაცებს და 55 წელი – ქალებს. დაგროვებითი საპენსიო სისტემიდან გასვლა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც 2018 წლის 6 აგვისტომდე 40 წელი შეუსრულდა, რისთვისაც საპენსიო სააგენტოს უნდა მიმართონ. ისინი ამის გაკეთებას შეძლებენ ავტომატურად გაწევრიანებიდან 3 თვის შემდეგ, ანუ 2019 წლის 1-ელი აპრილიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში.

**ბპნ**

# გიორგი ბაჩიაშვილი: „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის" ერთ-ერთი მთავარი საინვესტიციო მიმართულება ენერგეტიკის სექტორია



„საქართველო ჰიდრო რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. ამასთან ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ საკმაო პოტენციალი გვაქვს ქარის ენერგიის მიმართულებითაც," – ამის შესახებ „კომერსანტს" „თანაინვესტირების ფონდის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის" ერთ-ერთი მთავარი საინვესტიციო მიმართულება ენერგეტიკის სექტორია, რის ფარგლებშიც ფონდი განიხილავს საშუალო და დიდი ჰიდროელექტროსადგურების ახალ და არსებულ პროექტებში ინვესტიციების შესაძლებლობას.

– დაახლოებით ერთი თვის წინ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე საინტერესო შეხვედრა შედგა. ენერგეტიკის სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიისACCIONA-მ დიდი ინტერესი გამოთქვეს ქარის და მზის ელექტროსადგურების პროექტების მიმართ.

დეტალურად, საინვესტიციო პროექტების შეთავაზება არ მომხდარა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც კომპანიის წარმომადგენლები ერთი თვის ფარგლებში ეწვევიან საქართველოს და მხოლოდ ამის შემდეგ შედგება დეტალური განხილვა. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, ფონდი ასევე განიხილავს განახლებადი ენერგიის სხვა პროექტებსაც, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნული კომპანია გადაწყვეტს საქართველოში ინვესტიციის განხორციელებას, ფონდი ღიაა განიხილოს მათთან თანამშრომლობა, – აღნიშნა ბაჩიაშვილმა.

# იანვარში საქართველოს საგარეო ვალი გაეზარდა



იანვარში საქართველოს საგარეო ვალი გაეზარდა.

ბოლო 1 თვეში საგარეო ვალი 32.56 მლნ დოლარით გაიზარდა და 5.466 მლრდ დოლარს გადააჭარბა, თუმცა ლარში ვალდებულებები, კურსის ცვლილების გამო, 31 მლნ ლარით 14.51 მლრდ ლარამდეა შემცირებული.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, იანვარში შემოსული თანხის მოცულობა 46.47 მლნ დოლარი იყო, ძირითადი თანხის დაფარვისთვის 26 მლნ გადაიხადა ქვეყანამ, პროცენტებში კიდევ 12.5 მილიონი.

იანვარში საშინაო ვალი 46.5 მილიონით შემცირდა – 3.2 მილიარდამდე. ჯამში კი, სახელმწიფო ვალის მოცულობა 77.5 მლნ ლარით 17.72 მილიარდამდეა დაკლებული.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალი არ მოიცავს ე.წ ისტორიულ ვალს.

**კომერსანტი**

# „ქართული ოცნების" კიდევ ერთი დაპირება ჩავარდა



„ქართული ოცნების" დაპირება – „აშენდება 8 000 კმ ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს. შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტზე წვდომა" – ამ დაპირებას მმართველ პარტიასFACTCHECK-ი ახსენებს და იქვე აღნიშნავს „საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის გარშემო მიმდინარე მოვლენების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ის ჩავარდნის პირასაა".

ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის (რომლის შედეგადაც 2020 წლისთვის მოსახლეობის 90%-ს უნდა ჰქონდეს ინტერნეტზე წვდომა) განხორციელება 2016 წლის ივლისში ა(ა)იპ „ოუფენ ნეტს" დაევალა. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის კომპონენტზე მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების პროექტირება – მშენებლობის მიზნით, გამოცხადებულია სახელმწიფო შესყიდვა, თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე „ოუფენ ნეტის" მიერ გამოცხადებული მსგავსი შესყიდვა არ იძებნება.

გარდა ამისა, ოპტიკური ქსელის გაყვანა ჯერ არც ერთ სოფელში არ დაწყებულა. „ოუფენ ნეტს" არ აქვს პასუხი კითხვაზე, მოხერხდება თუ არა 2019 წლის ბოლომდე საქართველოს რომელიმე რეგიონში კაბელის გაყვანა. უცნობია სოფლების ინტერნეტიზაციის დასრულების თარიღიც.

**FACTCHECK-ის ანალიზი**

2016 წლის 8 სექტემბერს, წინასაარჩევნო პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა. პროგრამაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ინფრასტრუქტურულ განვითარებას, რომლის ფარგლებშიც პარტია მოსახლეობას სრულ ინტერნეტიზაციას დაჰპირდა. პროგრამაში აღნიშნულია, რომ „აშენდება 8 000 კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს. შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტზე წვდომა". აღნიშნული პროექტი გაწერილია როგორც 2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში, ასევე 2018 წლის სახელმწიფო საბიუჯეტო კანონში.

2016 წლის ივლისში მთავრობის სხდომაზე საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა. „ოუფენ ნეტის" ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის განსახორციელებლად, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს" ინიციატივით შეიქმნა ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი", რომელსაც აღნიშნული პროექტის განხორციელება დაევალა. პროექტის შედეგად, 2020 წლისთვის მოსახლეობის 90%-ს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 15 MB-იან ინტერნეტზე წვდომა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი" 2015 წლის 21 ივლისს დარეგისტრირდა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას საქმიანობდა ეს უკანასკნელი ინტერნეტიზაციის პროექტის ოფიციალურად დამტკიცებამდე, ინტერნეტსივრცეში არ იძებნება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში განთავსებული შესყიდვების თანახმად, „ოუფენ ნეტი" შესყიდვებს 2015 წლის აგვისტოდან ახორციელებს. პირველი შესყიდვა კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებებთანაა დაკავშირებული, ხოლო ყველა დანარჩენი საოფისე სახისაა (საოფისე მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ავეჯის, კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა და სხვა).

2016 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოები დაიწყო. „ოუფენ ნეტის" დირექტორი, ნინო ქუბინიძე, საბანკო სექტორისა და სატელეკომუნიკაციო ოპერატორების წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებთან კონსულტაციები 2016 წლის 30 სექტემბერს უნდა დასრულებულიყო, რის შემდეგაც, უმოკლეს ვადაში, გამოცხადდებოდა კონკურსი. აღნიშნულის შესახებ გაზეთ „კომერსანტთან" კომენტარი გააკეთა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრმა, კახა ბექაურმაც. მისი განცხადების თანახმად, პირველ ეტაპზე არსებული ოპერატორებისგან ინფორმაციის მიღება ხდება (თუ რა გეგმები აქვთ მათ კონკრეტულ რეგიონებთან მიმართებით უახლოეს 3 წელიწადში) და სახელმწიფო მხოლოდ იმ ადგილებში შევა, სადაც კერძო ბიზნესი არ იქნება. ბექაურის თქმით, უნდა შექმნილიყო საქართველოს რუკა, რის შემდეგაც „ოუფენ ნეტი" გამოაცხადებდა ტენდერს სამუშაოების შესრულების შესახებ. ინფორმაცია „ოუფენ ნეტის" მიერ მსგავსი ტენდერის გამოცხადების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში არ იძებნება. თავად „ოუფენ ნეტის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამით გათვალისწინებული პირველი ეტაპი – ფინანსური ხელშეწყობის კომპონენტი დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს მეორე, ანუ ქსელის მშენებლობის კომპონენტზე მუშაობა. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია 2016 წლის დროინდელია. 2018 წლის 10 მაისს „ოუფენ ნეტის" ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადების თანახმად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების პროექტირება-მშენებლობის მიზნით, ა(ა)იპ „ოუფენ ნეტმა" სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა, რომლის დასრულების ბოლო ვადადაც 2018 წლის 30 მაისი განისაზღვრა. თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მსგავსი შესყიდვა პროექტის მიმდინარეობის შესახებ უახლესი ცნობები არ არის ხელმისაწვდომი. ვებ-გვერდზე უკანასკნელი სიახლე 2016 წლის 11 ნოემბერს განთავსდა, რომელიც დირექტორ ნინო ქუბინიძის საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების IX რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას იტყობინება.

ინტერნეტიზაციის პროექტის მიმდინარეობის შესახებ კითხვით ფაქტ-მეტრმა „ოუფენ ნეტს" ელექტრონული ფოსტის საშუალებით 2018 წლის 7 აგვისტოს მიმართა, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია. იმავე შინაარსის წერილი ფაქტ-მეტრმა „ოუფენ-ნეტს" 29 ოქტომბერსაც გაუგზავნა მათივე ვებ-გვერდზე მითითებულ მისამართზე, თუმცა ადრესატამდე ვერ მიაღწია, რის მიზეზადაც ფოსტა არასრულ მისამართს ასახელებს.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტისა და მისი მიმდინარეობის საკითხს 2018 წლის 18 ივლისს გამოეხმაურა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია", რომელსაც „ოუფენ ნეტში" უპასუხეს, რომ მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის კომპონენტზე მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების პროექტირება-მშენებლობის მიზნით, გამოცხადებულია სახელმწიფო შესყიდვა. გარდა ამისა, განაცხადეს, რომ ოპტიკური ქსელის გაყვანა ჯერ არც ერთ სოფელში არ დაწყებულა. „ოუფენ ნეტს" არ გააჩნია პასუხი კითხვაზე, მოხერხდება თუ არა 2019 წლის ბოლომდე საქართველოს რომელიმე რეგიონში კაბელის გაყვანა. უცნობია სოფლების ინტერნეტიზაციის საბოლოო დასრულების თარიღიც. „ოუფენ ნეტში" ასევე განაცხადეს, რომ ორი წლის განმავლობაში არანაირი თანხები არ დახარჯულა, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგეგმებოდა 19 050 000 ლარის დახარჯვა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად ოთხ ლოტზე. პროექტთან დაკავშირებული კითხვით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს „ნეტგაზეთმაც" მიმართა, სადაც განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე მუშაობა მოდელის შერჩევაზე მიმდინარეობს, ინფრასტრუქტურული სამუშაოები კი ჯერ არ დაწყებულა. სამინისტროს პრესსამსახურის განცხადების თანახმად, ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაწყების გაჭიანურება საკითხის კომპლექსურობას უკავშირდება, ვინაიდან მასში ჩართულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი. გარდა ამისა, სამინისტრო არ ასახელებს თანხის ოდენობას, რაც ამ დრომდე პროექტზე გაიხარჯა. აღნიშნული ინფორმაციის თანახმად ნათელია, რომ 2 წლის განმავლობაში „ოუფენ ნეტი" თანხებს მხოლოდ ხელფასებზე ხარჯავდა.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის გარშემო მიმდინარე მოვლენების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ის ჩავარდნის პირასაა. თუმცა, ვინაიდან პროექტის შესრულების ბოლო ვადად 2020 წელია დათქმული, ფაქტ-მეტრი ვერდიქტისგან თავს იკავებს და დაპირების შესრულება/შეუსრულებლობის საკითხს მომავალში კიდევ დაუბრუნდება.

**კომერსანტი**

# ვალერი ირემაძე: „მე რა შუაში ვარ, ვერ გავიგე“

## გოგიტა ირემაძეს 20 ჭრილობა აქვს მიყენებული




გუშინ, 12 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოში ძმისშვილის მკვლელობაში ბრალდებულ 29 წლის ვალერი ირემაძის სასამართლო პროცესი გაიმართა.

ბრალდებულს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი წარედგინა, რაც დამამძიმებელ გარემოებაში არასრულწლოვანის განძრახ მკვლელობას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ვალერი ირემაძეს 16-20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

სხდომაზე ბრალდებული დამამშვიდებელი მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. სასამართლო სხდომის განმავლობაში მოსამართლის მადონა მაისურაძის მიერ გამოტანილი განაჩენი ბრალდებულისთვის გაუგებარი იყო, მისი თქმით, ვერ ხვდებოდა, თუ რაში მიუძღვოდა დანაშაული და რატომ იმყოფებოდა სასამართლო დარბაზში.

– ბრალდებულმა განსაკუთრებული სისასტიკით, საოჯახო დანის გამოყენებით, 13 წლის ძმისშვილს სხეულის სხვადასხვა მიდამოში 20-მდე ჭრილობა მიაყენა, რის შემდგომაც არასრულწლოვანი გარდაიცვალა. ბრალდებულს წარედგინა ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტებით.

დღეს ბრალდებულის მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნას პატიმრობა, საზოგადოებაში არსებული მოარული ხმები, რომ ბრალდებულს აღენიშნებოდა დანაშაულის ჩადენისას ფსიქიკური აშლილობა და იყო შეურაცხადი, ამასთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ დანიშნა სტაციონალური ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

დასკვნის შედეგად გადაწყდება, მართლაც შეურაცხადი იყო თუ არა ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას, სწორედ ეს იქნება განმსაზღვრელი იმის, მოხდება ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი წესით გასამართლება, თუ დაენიშნება იძულებრივი ფსიქიატრიული მკურნალობა, – განაცხადა „ინფო რუსთავთან“ საუბრისას პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ.

– ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ აუცილებელია ბრალდებული მოთავსებული იქნას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის და დაცვის მხარე ვერ დავუშვებთ თუნდაც მცირედ შანსსაც, რომ ამ პროცესს დაბრკოლება შეექმნას. ექსპერტიზასთან დაკავშირებით სასამართლოსადმი უკვე მივმართეთ, – განაცხადა ბრალდებულის ადვოკატმა ზურაბ დალაქიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 10 თებერვალს რუსთავში 29 წლის მამაკაცმა 13 წლის ძმისშვილს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, რა დროსაც არასრულწლოვანი გარდაიცვალა.

პროკურორის განცხადებით, ბრალდებული შემთხვევამდე 2008 და 2014 წლებში ძარცვასა და მეზობლის ცემის გამო ორჯერ იყო ნასამართლევი. მისი ოჯახის წევრების თქმით, დაახლოებით ერთი კვირაა, რაც ბრალდებულს ფსიქიკური აშლილობა დაეწყო.

ვალერი ირემაძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

საქმესთან დაკავშირებით შემდეგი სასამართლო პროცესი რუსთავის სასამართლოში 2019 წლის 4 აპრილს არის ჩანიშნული.

# დავით კირკიტაძე მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა



– არ ჩამიდენია ის, რასაც მაბრალებენ და თავს დამნაშავედ არ ვცნობ, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაკავებულმა წევრმა, დავით კირკიტაძემ გუშინდელ სასამართლო სხდომაზე განაცხადა.

ის ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი და არავითარი თავდასხმა მისი მხრიდან პოლიციის თანამშრომელზე არ მომხდარა.

– თუკი ვინმე კანონს და კონსტიტუციას არღვევდა, ეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო, – განაცხადა კირკიტაძემ.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კირკიტაძე პატიმრობაში დატოვა. მან დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

ოპოზიციის წარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ საქმე პოლიტიკურია და მისი აზრით, პროკურატურის მიმართ ნდობა დაკარგულია.

შეგახსენებთ, რომ დავით კირკიტაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით აქვს წაყენებული, რაც სამსახურებრივი მოვალეობის დროს პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

აღნიშნული დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კირკიტაძე და გუსაევი ველისციხეში მომხდარი დაპირისპირებიდან რამდენიმე დღეში დააკავეს.

# პოლიციამ ხარაგაულის რაიონში მომხდარი ქურდობის 5 ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხარაგაულის რაიონში მომხდარი ქურდობის 5 ფაქტი გახსნეს.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1993 წელს დაბადებული გ. ლ. და 1985 წელს დაბადებული ო.თ. დააკავა, 1979 წელს დაბადებულ ი. ბ.-ს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 5 და 29 იანვარს, ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმებით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში მცხოვრები 5 მოქალაქის კუთვნილი სახლები გაქურდეს, საიდანაც სხვადასხვა სახის ნივთები მოიპარეს. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

# ყოფილი მეუღლის დაჭრაში ბრალდებული ლ.მ. ყაზბეგში დააკავეს

ხოშარაულის ქუჩაზე ყოფილი მეუღლის დაჭრაში ბრალდებული პირი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოსა და მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთ პირი – 1973 წელს დაბადებული ლ.მ. ყაზბეგში დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე, ყოფილ მეუღლეს – 1976 წელს დაბადებულ ნ.პ.-ს, სიტყვიერი შელაპარაკებისა და მუქარის შემდეგ, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ნ.პ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანა. ამჟამად მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11-117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

დაჭრილი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც „ინტერპესნიუსს“ ღუდუშაურის სახელობის კლინიკიდან აცნობეს, პაციენტი უკვე პალატაშია გადაყვანილი და მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ექიმების განცხადებით, იგი ბინაზე უახლოეს დღეებში გაეწერება.

43 წლის ქალი ღუდუშაურის კლინიკაში 11 თებერვალს ზურგის არეში მიყენებული ჭრილობით შეიყვანეს.

პაციენტს საოპერაციო ბლოკში ჭრილობა დაუმუშავდა და ის პოსტოპერაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

# „მუხრუჭი ჩავარდა, აღარ დაიჭირა, დაქანდა ქვემოთ“

## წყნეთში ავტობუსი დაგორდა და ხეებს შეეჯახა, დაშავდა 7 ადამიანი




გუშინ, 12 თებერვალს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა წყნეთში – მუნიციპალური ავტობუსი დაგორდა და ხეებს შეეჯახა.

დაშავდა 7 ადამიანი. ისინი სასწრაფო სამედიცინო ბრიგადებმა ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

ავტობუსის მძღოლი ამბობს, რომ მანქანა მუხრუჭის დაზიანების გამო დაგორდა.

– გავაჩერე, ჩამომსვლელები ჩამოვიდნენ. ამასობაში მუხრუჭი ჩავარდა, აღარ დაიჭირა, დაქანდა ქვემოთ, სიჩქარეში ველარ ჩავაგდე. ვიმარჯვე და იქ ხეებმა დაიჭირა.

იყო შემოწმებული, მაგრამ ადამიანს შეემთხვევა რაღაც და რკინაა ბოლო-ბოლო, – ამბობს ავტობუსის მძღოლი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია.

# „ზესტაფონიდან ჩამოვედი თავის მოსაკლავად“

## რუსთავი 2-ის შენობასთან მამაკაცმა ვენები გადაიჭრა

„რუსთავი 2“– ის შენობასთან შუახნის მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა. მან ცივი იარაღით თავი დაიზიანა.

პირი დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება ზესტაფონის პოლიციის მხრიდან ზეწოლის შედეგად მიიღო.

– ზესტაფონიდან ჩამოვედი თავის მოსაკლავად. პოლიციამ დამიშავა, სამართალი ვერ ვნახე 2 წელიწადია. მარტო პოლიციელებს ვებრძოლები, – აცხადებს მამაკაცი.

მისივე ნაამბობიდან ირკვევა, რომ ეს თვითმკვლელობის მცდელობის პირველი შემთხვევა არ არის.

დაშავებული მამაკაცის შვილი ამბობს, რომ „მაინც მიიყვანეს მოქმედმა და ყოფილმა პოლიციელებმა ამ დონემდე, მოკლეს კაცი“.

შუახნის კაცის ცოლი ამბობს, რომ მის მეუღლეს ძალადობის გამო შემაკავებელი ორდერი ჰქონდა გამოწერილი, რაც თვითონვე დაარღვია.



დაზარალებულ მამაკაცს დახმარება „რუსთავი 2“-ის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა აღმოუჩინეს, რომლებმაც ფაქტის შესახებ პოლიციას შეატყობინეს, მანამდე კი დასახმარებლად სასწრაფო გამოიძახეს.

გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

# ხაშურში ბორჯომი-თბილისის მატარებელი მანქანას დაეჯახა

ავარია მოხდა ხაშურში – ერთმანეთს ბორჯომი-თბილისის სამგზავრო მატარებელი და მანქანა შეეჯახნენ.

შემთხვევა გუშინ, 12 თებერვალს, დილით, სოფელ ტეზერის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. დაშავდა „ფოლკსვაგენის“ მძღოლი, ხოლო მატარებელი რამდენიმე საათის განმავლობაში შეჩერებული იყო.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება 275 მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, აღნიშნული მუხლი 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაშავებული მძღოლი, 29 წლის მამაკაცი, „გორმედის“ ქსელის ხაშურის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– შემოსულია პაციენტი მრავლობითი დაზიანებებით. მას აღენიშნება ესკორაციები, ჭრილობა სახეზე, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა. პაციენტს ჩაუტარდა პირველადი დახმარება, თავის ტვინის ტომოგრაფია, კისრის მალების ტომოგრაფია, კვლევები მკერდისა და მუცლის ღრუს არეში.

ამ დროისთვის შესაბამისი სამკურნალო ღონისძიებების პარალელურად გამოკვლევები გრძელდება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, – განაცხადა ხაშურის საავადმყოფოს კლინიკურმა მენეჯერმა კობა გელაშვილმა.

# ხილიანზე საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა



თბილისში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ცეცხლი კერძო საცხოვრებელი სახლის სახურავს გაუჩნდა.

დამწვარია 50 კვ.მ. ფართობი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

# საბერძნეთში 42 წლის საქართველოს მოქალაქე მოკლეს

საბერძნეთის პოლიცია დამნაშავეებს ეძებს, რომელთაც თესალონიკში, საკუთარ საცხოვრებელ ბინასთან 42 წლის მამაკაცი მოკლეს.

საბუთების შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ის საქართველოს მოქალაქეა, კერძოდ კი, აფხაზეთში დაბადებული.

შემთხვევა 10 თებერვალს იასონიდუს ქუჩაზე, 21:40 საათზე მოხდა. სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 42 წლის ქართველი მამაკაცი ჩაცხრილეს.

მას ტყვიები თავის არეში აქვს ნასროლი.

პოლიცია ვარაუდობს, რომ საქმე მაფიოზურ ანგარიშსწორებასთან გვაქვს.

**გეორგიანს.გრ**

# ვენესუელაში სამხედრო მანევრები დაიწყო



ვენესუელაში დაიწყო სამხედრო მანევრები, რომელთა მიზანიც კუნთების დემონსტრირებაა. მადურომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სურს თავისი ძალა უჩვენოს როგორც გარეშე, ასევე შინაურ მტრებს.

სწავლებებში მონაწილეობას რუსი და ჩინელი სამხედროებიც მიიღებენ.

ვენესუელაში შექმნილი ვითარება აშშ-ის სენატის მსჯელობის საგანი გახდა. მოხსენებით ლათინურ და ცენტრალურ ამერიკაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი, ადმირალი ფოლერი გამოვიდა.

მან განაცხადა, რომ ვენესუელის არმიაში სავალალო მდგომარეობაა. ჯარისკაცები შიმშილობენ. ეს მათ განწყობაზეც აისახა:

– რიგით მეომრებს მადუროს გამო ბრძოლაში ჩაბმა არ სურთ, – მიიჩნევს ფოლერი.

ადმირალის აზრით, მადუროს აქტიურად უჭერს მხარს ვენესუელას არმიის 5.00-მდე გენერალი. ეს ის ხალხია, ვინც ჩავესის მმართველობის ჟამს გამდიდრდა, რაც როგორც ნავთობის, ასევე არალეგალურ ნარკობიზნესში ჩაბმის მეშვეობით მოხდა.

– გენერლები არა იმდენად მადუროს, რამდენადაც საკუთარ პრივილეგიებს იცავენ, – განაცხადა ადმირალმა.

ვითარების გამწვავების შემთხვევაში ჯარისკაცების ნაწილი დაიფანტება, ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებს. აღმოჩნდებიან ისეთებიც, ვინც აჯანყებულთა მხარეს გადავა. მადუროს თავის დასაცავად მაქსიმუმ 5.000 მეომრის გამოყვანა შეუძლია. ეს ძალაუფლების შენარჩუნებისთვის არ კმარა, მაგრამ სისხლისღვრის ორგანიზებისთვის საკმარისია.

– რუსეთი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა სისხლი დაიღვაროს, – ფოლერმა ამას ხაზი განსაკუთრებით გაუსვა.

რუსი სამხედროები, რომლებიც დღეს ვენესუელაში იმყოფებიან, აშკარად დესტრუქციულ როლს თამაშობენ. შედეგად რეალურია საფრთხე იმისა, რომ ვენესუელაში მოვლენები სირიული სცენარით განვითარდეს.

პოლიტოლოგ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, პუტინი სწორედ ამას ცდილობს. თუ ვენესუელის სახით ახალი ცხელი წერტილი შეიქმნა, ეს მთელი ლათინური ამერიკის დესტაბილიზაციას ნიშნავს. ლათინური ამერიკა კი აშშ-ის „უკანა ეზოდ“ ითვლება.

# მაიკ პომპეო უნგრეთს ესტუმრა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში ჩავიდა. ის შეხვდა და ესაუბრა უნგრეთის პრემიერ ორბანს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრ სიიეტროს.

პრესკონფერენციაზე პომპეომ განაცხადა, რომ აშშ აქტიურად ჩაერევა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელ ხანს რეგიონში რუსეთის და ჩინეთის გავლენის ზრდა დაფიქსირდა.

– ეს ძალზე შემაშფოთებელია, – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ასევე ნატოშიც უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობს.

– ამერიკა ამას არ დაუშვებს, – თქვა პომპეომ.

ამის შემდეგ ის უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე გადავიდა. პომპეომ განსაკუთრებით აღნიშნა უკრაინელი ხალხის გმირობა, რომელმაც რუსი აგრესორი შეაჩერა.

– უნგრეთის ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ უკრაინას მხარი დაუჭიროს, – განაცხადა პომპეომ.

# ბულგარელი გებრევის მკვლელობას ინგლისელებიც გამოიძიებენ

ინგლისის ელჩი ბულგარეთში ჰოპკინსი ბულგარეთის პრემიერ ბორისოვს, გენერალურ პროკურორ ცაცაროვს და შს მინისტრ მარინოვს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა ბულგარელი ბიზნესმენის, გებრევის სიკვდილი იყო.

გებრევი უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაში მონაწილეობდა. არსებობს ეჭვი, რომ ბიზნესმენი ნოვიჩოკით მოწამლეს.

სავარაუდოდ, მკვლელობაში გრუ-ს აგენტი მონაწილეობდა, რომელიც ოპერატიული ფსევდონიმი ფედოტოვი იყო. ინგლისელი ძალოვნები ფიქრობენ, რომ ფედოტოვი მამა-შვილ სკრიპალების მკვლელობის მცდელობაშიც იყო გარეული.

ჰოპკინსმა ბულგარელებს შესთავაზა, რომ ინგლისის გამომძიებლებმა გებრევის სიკვდილის გარემოებების გამოძიებაში მიიღონ მონაწილეობა.



# იგორ სმეშკო: „რუსეთი დაგვარტყამს თუ უკრაინაში დესტაბილიზაცია დაიწყება“



უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი, გენერალი იგორ სმეშკო მიიჩნევს, რომ რუსეთი უკრაინული არჩევნების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას შეეცდება.

მოსკოვი აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ დამარცხებულმა მხარემ წაგება არ აღიაროს და თავის მომხრეებს მაიდანზე უხმოს. ამის შემდეგ შიდა დაპირისპირება გაღრმავდება, დაიღვრება სისხლი.

ასეთია რუსული სცენარი.

– დღეს რუსეთი ინტერვენციას ვერ გაბედავს! მოსკოვი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვარტყამს, თუ უკრაინაში საქმე ახალ სისხლიან მაიდანამდე მივა და შიდა დესტაბილიზაცია დაიწყება! – განაცხადა სმეშკომ.

გენერალი მიიჩნევს, რომ ახალი მაიდანი, თუ ის შედგა, სისხლიანი იქნება და უკრაინისთვის საბედისწერო შედეგებით დასრულდება.

– ორი მაიდანი უკვე გვქონდა! მესამე უკრაინისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს, – თქვა სმეშკომ.

# ბელორუსში მე-10 კლასის მოსწავლემ მასწავლებელი და მოსწავლე მოკლა

ბელორუსულ ქალაქ სტოლბში (მინსკის ოლქი) ამაზრზენი დანაშაული მოხდა.

დანით შეიარაღებული მეათეკლასელი ვადიმ კ. გაკვეთილის დროს მასწავლებელს თავს დაესხა. ორმა მოსწავლემ მასწავლებლის დაცვა სცადა. ვადიმმა მასწავლებელი სასიკვდილოდ დაჭრა. მძიმედ დაიჭრნენ ისინიც, ვინც მასწავლებელს გამოექომაგა.

ამის შემდეგ დანით შეიარაღებული მეათეკლასელი მეზობელ კლასში შევარდა და პირველსავე შემხვედრ მოსწავლეს დანა ჩაარტყა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. დაიჭრა მისი რამდენიმე ამხანაგიც. სულ დაჭრილია 6 მოსწავლე. ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია. ბავშვების მდგომარეობა მძიმეა. თავად ვადიმმა გაქცევა სცადა, მაგრამ დააკავეს.






# მოსკოვის ცენტრში ფსბ-ს პოლკოვნიკს სცემეს

მოსკოვის ცენტრში განხორციელდა თავდასხმა რუსეთის ფედერალური უშიშროების პოლკოვნიკ ვუდაგოცკიზე.

უცნობმა პირებმა მის მანქანას ჯერ ბოთლი ესროლეს, შემდეგ ვუდაგოცკი მანქანიდან გამოათრიეს და წიხლებით შედგნენ.

თავდამსხმელებმა შეძლეს მიმალვა.

ვუდაგოცკი ფსბ-ს იმ განყოფილებაში მუშაობდა, რომელიც ეკონომიურ დანაშაულს იძიებს. პოლკოვნიკი უშუალოდ მონაწილეობდა როგორც ულიუკაევის, ასევე ფედერალური საბჭოს წევრ რაუფ არაშუკოვის დაკავებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „ავტოტრანსსერვისის“ (ს/კ 249257352), იურიდიული მისამართი – თბილისი, მეველის ქუჩა №17. ლიკვიდაციის პროცესი და გთხოვთ, როგორც ცნობილ, ასევე უცნობ კრედიტორებს, განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში დაუკავშირდეთ შპს „ავტოტრანსსერვისის“ ლიკვიდატორს ზურაბ ზარანდიას ნომერზე – 574-809-374 და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

# ინდონეზიელი პოლიციელები მამაკაცს გველით აწამებდნენ

ინდონეზიაში პოლიციელები ქურდობაში ეჭვმიტანილ მამაკაცს დიდი გველის გამოყენებით აწამებდნენ. ამ შემთხვევის თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

– აღმოაჩნდა, რომ პაპუასების დაკითხვის დროს გველების გამოყენება საკმაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა. ასეთი ბოლო ცნობილი სემ ლოკონის შემთხვევაა, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ადვოკატმა ვერონიკა კომანმა.

კადრებში ჩანს, რომ ხელებზე ხელბორკილდადებული მამაკაცი იატაკზე ზის, ხოლო ყელზე უზარმაზარი, მინიმუმ ორი მეტრი სიგრძის გველი ჰყავს შემოხვეული.

პოლიციის თანამშრომელს ქვეწარმავლის თავი ლუკონის სახესთან უჭირავს და ეკითხება, თუ მან რამდენჯერ მოიპარა მობილური ტელეფონები. ვიდეორგოლში ისმის, რომ მამაკაცს, თუ ის დანაშაულს არ აღიარებს, გველის შარვალში და პირში ჩატენვით ემუქრებიან.

აღნიშნულ ვიდეორგოლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რის შემდეგაც პოლიციიეს წარმომადგენლებმა ამ ინციდენტის გამო ბოდიში მოიხადეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკუთარი ქმედება არაპროფესიონალურად შეაფასეს, თუმცა საკუთარი თავის დასაცავად დაამატეს, რომ გველი მოშინაურებული იყო და არც შხამიანი არ ყოფილა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბათუმი დამაჯერებლად ლიდერობს, აკადემიამ ლიდერებთან დახატა



### ვეფხვები-ბათუმი 10:38

დიდი 10-ის ლიდერმა ბათუმმა, მე-13 ტურში პატარძეულის ვეფხვები 38:10 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში პოზიციები გაიმყარა.

შეხვედრა წვიმაში გაიმართა და ზღვისპირელებმა ძალისმიერ თამაშში თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა. ანგარიში პირველსავე წუთზე მამუკა ნინიძემ ჯარიმით გახსნა, მე-4 წუთზე კი ბექა ურჯუკაშვილმა შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა და ნინიძემ გარდასახა. მე-16 წუთზე მასპინძლები უკვე საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ და ბათუმი 17:0 დაწინაურდა.

ტაიმის შუაში ჟორა მღებრიშვილმა ერთი ლელო გაქვითა, მაგრამ მალევე ხვიჩა ბუჯიაშვილმა სტუმართა მესამე ლელო გაიტანა, ხოლო 35-ე წუთზე თავი ნუკრი ფერსელიძემ გამოიჩინა, ნინიძემ ორივე გარდასახა და ტაიმი 31:5 დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში დავით ტრაპაიძემ ბათუმის მეხუთე ლელო გაიტანა და უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. 54-ე წუთზე მღებრიშვილმა დუბლი შეასრულა და მას შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. ბათუმმა 38:10 მოიგო, ბონუსიც აიღო და მის ლიდერობას მინიუმ 2 ტური არაფერი ემუქრება, ვეფხვებს კი მდევარი წამოეწია.

### აკადემია-ლოკომოტივი 26:25

აკადემიამ დედაქალაქურ დერბიში ქვეყნის ჩემპიონ ლოკომოტივს 26:25 აჯობა და ზედიზედ მეორე სენსაციური გამარჯვება იზეიმა.

„მხატვრებმა“ ერთი კვირის წინ ქუთაისში აიას მოუგეს, ახლა კი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს გამარჯვება ბოლო წუთზე გამოგლიჯეს ხელიდან.

თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ანგარიში სანდრო ილურიძემ ლელოთი გახსნა, ხოლო საბა ილურიძემ გარდასახა. ფარნავაზ გასვიანმა საპასუხო ლელო მე-14 წუთზე გაიტანა და ბექა წიკლაურმაც გარდასახვით წონასწორობა აღადგინა.

ჩემპიონი დისციპლინამ დაალალატა და საბა ილურიძემ 2 ჯარიმა გაიტანა, ხოლო 35-ე წუთზე გატანილი ლელო თავადვე გარდასახა და ანგარიში 20:7 გახადა. ლოკომოტივმა ზედ შესვენების წინ დაჩი კოპაძის ლელოთი და წიკლაურის გარდასახვით შეამცირა სხვაობა.

56-ე წუთზე კი, ლელო გიორგი ტალახაძემ გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ წიკლაურმა ჩემპიონი 64-ე წუთზე გატანილი ჯარიმით დააწინაურა – 22:20.

ილურიძემ 72-ე წუთზე მორიგი 3 ქულა მიითვალა, რაზეც წიკლაურმა 77-ეზე ჯარიმითვე უპასუხა, მაგრამ მატჩის განახლებისთანავე ლოკომოტივი დაჯარიმდა, ილურიძე ზუსტი იყო და აკადემიას 26:25 მოაგებინა.

ამ მოგებამ აკადემია გასავარდნ ზონას კიდევ უფრო დააშორა და ექვსეულს მიაახლოვა, ხოლო ლოკომოტივი ლიდერ ბათუმს 7 ქულით ჩამორჩა.

### ხარები-აია 22:22

რუსთავში ხარები დასკვნითი 10 წუთის წინ ქუთაისის აიას 22:10 ამარცხებდა, მაგრამ მერე 2 ლელო გაუშვა და ფრეს დასჯერდა. ეს დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში მესამე ფრეა.

ანგარიში მასპინძლებმა კობა ბუჯიაშვილის ჯარიმით გახსნეს, თუმცა მატჩის განახლებისთანავე თორნიკე მანაგაძისგან ლელო მიიღეს. დავით გობეჯიშვილმა ზუსტი გარდასახვის შემდეგ 22-ე წუთზე ჯარიმა გაიტანა და სტუმრები 10:3 დაწინაურდნენ.

მასპინძლებმა თამაშს მოუმატეს და 30-ე წუთზე ლექსო მელიქიშვილმა, ხოლო 5 წუთში ნიკა კევლიშვილმა ლელოები გაიტანეს. ბუჯიაშვილმა ერთი გარდასახა და ტაიმი 15:10 დასრულდა. ანგარიში მეორე ტაიმის შუაში შეიცვალა, მელიქიშვილმა დუბლი შეასრულა და ბუჯიაშვილის გარდასახვაც ზუსტი იყო.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# იტალიელები ჩაკვეტაძეს კაკას ადარებენ



მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჩაკვეტაძე ბოლო პერიოდში ტრავმის გამო მოედანზე არ ჩანს და, ცხადია, არაფერი გამორჩეული არ გაუკეთებია, მის მიმართ ყურადღება არ ნელდება.

ერთ-ერთი იტალიური გამოცემა საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური გენტის 19 წლის შემტევზე სტატიას აქვეყნებს და მას ლეგენდარულ ბრაზილიელს, რიკარდო კაკას ადარებს.

ვნახოთ, რას წერენ იტალიელები.

თუკი შემთხვევით ტელევიზორში ბელგიის სუპერლიგას ადევნებთ თვალს და გენტის თამაშს წააწყდით, მოედნის ცენტრში ბავშვს დაინახავთ. თუმცა, ნუ გაიცინებთ – 1.83 მეტრი სიმაღლის ქერათმიანი ქართველი გიორგი ჩაკვეტაძეა და დიდი ნახტომისთვის ემზადება.

19 წლის ჩაკვეტაძე 1999 წელსაა დაბადებული და მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე მოიპოვა ბელგიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის სახელი. ის ფლეიმეიქერია, მაგრამ შეუძლია როგორც მარცხენა ფლანგზე, ასევე უკნიდან თამაში.

ჩაკვეტაძე ბელგიაში თბილისის დინამოდან ერთი წლის წინ გადავიდა და მალევე მოიპოვა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

16 წლის ასაკში მას უკვე 1700 წუთი ჰქონდა ნათამაშები. შემთხვევითი არაა, რომ ბელგიელებმა მასში 1.5 მილიონი ევრო გაიღეს – ეს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერია, რაც ქართულ კლუბს განუხორციელებია.

ამ სეზონში ჩაკვეტაძემ 12-ჯერ ითამაშა, 4 გოლი და 3 საგოლე პასი შეასრულა, თასზე კი გოლი და 5 საგოლე გადაცემა მოუგროვდა.

გამორჩეული თამაშით ჩაკვეტაძემ გზა ეროვნულ ნაკრებშიც გაიკვლია, სადაც მისი ასაკის მიუხედავად, 10-ნომრიანი მაისური გადასცეს. ჩაკვეტაძემ ეს პატივი დააფასა – 7 მატჩში გატანილი 5 გოლი...

თუმცა, ჩვენ არ ვსაუბრობთ იმ ფეხბურთელზე, რომლის მთავარი ფუნქციაც გოლების გატანაა. ჩვენ საუბარი იმ ფეხბურთელზე გვაქვს, რომელიც იდეალურად ერგება 4-2-3-1 სქემას.

ციფრებიც ამაზე მეტყველებს: მის მიერ გაკეთებული პასების 83% ადრესატამდე აღწევს და ის თავდამსხმელებისთვის შესანიშნავი დამხმარეა; ქართველი იდეალური ასისტენტია, რომელსაც თანაგუნდელებისთვის პასის მიცემა 1-2 შეხებით შეუძლია.

ჩაკვეტაძე ეფექტური „ათიანია“. მარჯვენა ფეხი მისი მთავარი იარაღია და უდიდესი ფანტაზიის მქონეა, რაც „ათიანებს“ წლების განმავლობაში ახასიათებდათ. ხშირად იწყებს შეტევას სიღრმიდან და ძალიან ტექნიკურია. აქვს კარგი დრიბლინგი და ცოტა შეცდომას უშვებს. ბურთსაც ფეხში იმდენ ხანს იჩერებს, რამდენიც საჭიროა. აქვს კარგი მოედნის ხედვა, თუმცა ხშირად ბურთით ფლანგზე გადადის და შეტევას იქიდან ცდილობს.

ფეხბურთელი, რომელიც კარიერას ახლა იწყებს, რთულია შეადარო ბრაზილიელ ფენომენ კაკას, ვისაც ბევრად მაღალი პასის კულტურა და დარტყმის უნარები აქვს. აქ საუბარი პროგრესს ეხება.

ქართველი „ათიანის“ ყურება, როდესაც ის ბურთს იღებს, სასიამოვნოა: ელეგანტური და საკუთარ თავში დარწმუნებულია და შეუძლია ყველაფერი საკუთარ თავზე აიღოს.

ჩაკვეტაძესა და კაკას მთავარი განსხვავება იმაშია, თუ როგორ მოქმედებს ეს 2 ფეხბურთელი ბურთით: ჩაკვეტაძე, როგორც ვთქვით, ხშირად გადადის ბურთით ფლანგზე და იქ მოქმედებს. კაკა კი ცენტრში თამაშობდა, უახლოვდებოდა საჯარიმოს და პასს მეტოქის ნახევარმცველებს შორის აკეთებს.

ბოლოს ნაჩვენები თამაშის შემდეგ ბევრი დიდი ევროპული კლუბი აკვირდება ბელგიის ჩემპიონატს, რომ ქართველის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღოს. მიუხედავად ამ ინტერესისა, ახალგაზრდა ბიჭი ჯერ მაინც არ არის მზად, ტოპ კლუბის ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. და მაინც, დროა, რომ ის მსოფლიოს 5 საუკეთესო ჩემპიონატიდან ერთ-ერთში გადავიდეს.

# ფრანს ფუტბოლის უცნაური ათეული

ფრანგულმა გამოცემა ფრანს ფუტბოლმა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს, „ოქროს ბურთს“ აწესებს, ამჟამად მსოფლიო ისტორიის 10 საუკეთესო კლუბი დაასახელა.




ცოტა არ იყოს, ამ გავლენიანი გამოცემას ათეულმა გაგვაკვირვა, როდესაც ისეთი კლუბები შევნიშნეთ, როგორებიცაა პსჟ, ჩელსი, არსენალი და მანჩესტერ სიტი. ამ გუნდების საწინააღმდეგო კი არაფერი გვაქვს, უბრალოდ, როდესაც საქმე ისტორიას ეხება, აშკარად სხვა ათეულს ველოდით.

საქმე კი ის არის, რომ თურმე რეიტინგი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შედგა: ტიტულების, „ოქროს ბურთების“ რაოდენობის, სატელევიზიო და სოციალური ქსელების აუდიტორიის, გულშემატკივართა დასწრების, შემოსავლის, გუნდის ფეხბურთელების ფასისა და კლუბის ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით.

პირველ ადგილზე მადრიდის რეალია, მეორე ბარსელონაა, მესამე კი – მანჩესტერ იუნაიტედი. ვერაფერს ვიტყვით, ლოგიკური სამეულია, მაგრამ...

გადავხედოთ მთლიანად მსოფლიო ისტორიაში 10 საუკეთესო კლუბს ფრანს ფუტბოლის ვერსიით:

1.მადრიდის რეალი – 184 ქულა; 2.ბარსელონა – 177; 3.მანჩესტერ იუნაიტედი – 151; 4.მიუნხენის ბაიერნი – 135; 5.ლივერპული – 120; 6.იუვენტუსი – 107; 7.პსჟ – 94; 8.ჩელსი – 91; 9.მანჩესტერ სიტი – 89; 10.არსენალი – 88.

სიაში ბაიერნის, ლივერპულისა და იუვენტუსის მოხვედრაც სამართლიანად მიგვაჩნია – ამ კლუბებს მართლაც რომ დიდი ისტორია აქვთ, მაგრამ, ვერ ვხედავთ მილანსა და აიაქსს – გუნდებს, რომლებსაც არც ტიტულები აკლიათ, არც „ოქროს ბურთის“ მფლობელი ფეხბურთელები და თუ 10 წლის წინ შექმნილი სოციალური ქსელების გამომწერებით დგება ისტორია, ეს ნამდვილად არ ვიცით...

# ჩელსის მეხი დაეცა, სარის წყალი შეუდგა

მანჩესტერ სიტისთან 0:6 წაგებით ჩელსის მეხი დაეცა, ხოლო მაურისიო სარის წყალი შეუდგა. საგონებელშია ჩელსის ხელმძღვანელობაც – არისტოკრატებს ასეთი კატასტროფული ანგარიშით პრემიერლიგაში არასოდეს წაუგია.

რამდენიმე პოპულარული გამოცემა იტალიელ სპეციალისტს უკვე ჩემოდნებს ალაგებინებს. ჩელსის ბოსებს მანჩესტერ იუნაიტედის გამოცდილება მოსწონთ, რომლებმაც დროებით ოლე გუნარ სოლსკიაერი მიიყვანეს და წერენ, რომ ლონდონელებიც ამ გზას დაადგებიანო. თან ჩელსის შორს წასვლა არ მოუწევს და მთავარ მწვრთნელად სეზონის ბოლომდე სარის თანაშემწეს, ჯანფრანკო ძოლას დანიშნავენო.

თუმცა, არიან ისეთი გამოცემებიც, რომლებიც წერენ, რომ სარის ვითარების გამოსასწორებლად ერთი თვე მისცესო.

მოკლედ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და თუ მართლა ისე მოხდა, რომ სარის ძოლა ჩაანაცვლებს, მაშინ ის ჩელსის ზედიზედ მესამე იტალიელი მწვრთნელი გახდება. შეგახსენებთ, მაურისიო სარიმდე, რომელიც ჩელსიში 2018 წლის ზაფხულში დაინიშნა, არისტოკრატებს ანტონიო კონტე ავარჯიშებდა.



# ბორჯღალოსნები ერთი ადგილით დაწინაურდნენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა კლუჟში რუმინეთის 18:9 დამარცხების შემდეგ, „მსოფლიო რაგბის“ ყოველკვირეულ რეიტინგში 0,51 ქულა მიიღეს და მე-12 ადგილზე აღზევდნენ. მილთონ ჰეიგის შეგირდებმა აშშ-ის ნაკრებს 0,27 ქულით გადაასწრეს.



ამჟამად ბორჯღალოსნებს 73,93 ქულა აქვთ. ჩვენ წინ იაპონიის ნაკრებია (75,24), მსოფლიო თასის მონაწილეებიდან კი, ჩვენ უკან აშშ, ტონგა, იტალია, სამოა, ურუგვაი, რუსეთი, კანადა და ნამიბია არიან.

ჩვენმა მომავალმა მეტოქე ესპანეთმა, რუსეთის 16:14 ძლევით პოზიცია გაიმყარა, კანადას გადაასწრო და მე-20 ადგილზეა. მას 63,23 ქულა აქვს, საქართველოს ბევრით ჩამორჩება, ამიტომაც 17 თებერვალს მათთან გამარჯვება ბორჯღალოსნებს რეიტინგში არაფერს შესძენს. სამაგიეროდ, წაგების შემთხვევაში ბევრი დაგვაკლდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველო „მსოფლიო რაგბის“ რეიტინგში ყველაზე მაღლა მე-11 ადგილზე ყოფილა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

**11 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ნიუკასლი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 21 | 2 | 4 | 74-20 | 65 |
| 2.ლივერპული | 26 | 20 | 5 | 1 | 59-15 | 65 |
| 3.ტოტენჰემი | 26 | 20 | 0 | 6 | 54-25 | 60 |
| 4.მანჩესტერი | 26 | 15 | 6 | 5 | 52-35 | 51 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 53-37 | 50 |
| 6.ჩელსი | 26 | 15 | 5 | 6 | 45-29 | 50 |
| 7.ვულვზი | 26 | 11 | 6 | 9 | 34-33 | 39 |
| 8.უოტფორდი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 6 | 12 | 36-39 | 33 |
| 10.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-39 | 33 |
| 11.ბორნმუთი | 26 | 10 | 3 | 13 | 37-47 | 33 |
| 12.ლესტერი | 26 | 9 | 5 | 12 | 31-34 | 32 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-34 | 27 |
| 14.ბრაიტონი | 26 | 7 | 6 | 13 | 28-39 | 27 |
| 15.ბარნლი | 26 | 7 | 6 | 13 | 29-47 | 27 |
| 16.ნიუკასლი | 26 | 6 | 7 | 13 | 22-34 | 25 |
| 17.კარდიფი | 26 | 7 | 4 | 15 | 24-47 | 25 |
| 18.საუთჰემპტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28-44 | 24 |
| 19.ფულემი | 26 | 4 | 5 | 17 | 25-58 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 26 | 2 | 5 | 19 | 14-48 | 11 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ლევანტე ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 60-23 | 51 |
| 2.რეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 40-27 | 45 |
| 3.ატლეტიკო | 23 | 12 | 8 | 3 | 33-17 | 44 |
| 4.სევილია | 23 | 10 | 7 | 6 | 38-25 | 37 |
| 5.ხეტაფე | 23 | 9 | 8 | 6 | 28-19 | 35 |
| 6.ალავესი | 23 | 10 | 5 | 8 | 24-27 | 35 |
| 7.ბეტისი | 23 | 9 | 5 | 9 | 26-29 | 32 |
| 8.ვალენსია | 23 | 6 | 13 | 4 | 24-20 | 31 |
| 9.სოსიედადი | 23 | 8 | 7 | 8 | 27-25 | 31 |
| 10.ეიბარი | 23 | 7 | 9 | 7 | 31-32 | 30 |
| 11.ლეგანესი | 23 | 7 | 8 | 8 | 25-27 | 29 |
| 12.ესპანიოლი | 23 | 8 | 4 | 11 | 27-37 | 28 |
| 13.ბილბაო | 23 | 5 | 12 | 6 | 23-28 | 27 |
| 14.ლევანტე | 23 | 7 | 6 | 10 | 32-42 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 6 | 8 | 9 | 19-28 | 26 |
| 16.ხირონა | 23 | 5 | 9 | 9 | 23-33 | 24 |
| 17.სელტა | 23 | 6 | 6 | 11 | 35-39 | 24 |
| 18.რაიო | 23 | 6 | 5 | 12 | 27-40 | 23 |
| 19.ვილიარეალი | 23 | 3 | 11 | 9 | 23-31 | 20 |
| 20.უესკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-39 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-დინამო ........................ 1:0

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-ლეჩე ........................ 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-ოსერი ........................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-ბელენენსეში ........................ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ლარისა ........................ 2:2

ასტერასი-არისი ........................ 0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ქაშიმფაშა ........................ 3:0

სივასი-აქხისარი ........................ 2;1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ვისლა ........................ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ვენიუსელი-მიდტიულანდი ........................ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# პანდებთან ვოლიერში ჩავარდნილი გოგონა გადარჩა



ჩინეთში გოგონა პანდების ვოლიერში ჩავარდა და არ დაშავებულა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი სიჩუანში მდებარე დიდი პანდების გასამრავლებელ ჩენდუს კვლევით ცენტრში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ორი მეტრის სიმაღლიდან ვოლიერში გადავარდნილი გოგონა უზარმაზარ პანდებთან იმყოფება. ბავშვის ხმამაღალმა ტირილმა ერთ-ერთი ცხოველის ყურადღება მიიპყრო. ის გოგონას ნელა, ყოველგვარი აგრესიის გამოვლენის გარეშე მიუახლოვდა.

ცენტრის თანამშრომელმა გოგონას გრძელი ჭოკი ჩააწოდა, მაგრამ შეშინებული ბავშვი მისთვის ხელის ჩაჭიდებას ვერ ახერხებდა. როდესაც გოგონასკენ მეორე დიდი პანდაც დაიძრა, ცენტრის თანამშრომელი გისოსებში გაძვრა, ბავშვს ხელი ჩაავლო და ამოიყვანა.

# ინდოეთში თხა-ციკლოპი დაიბადა



ინდოეთში დაიბადა ცალთვალა ციკანი. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო ვიდეოპორტალმა გამოაქვეყნა.

უჩვეულო ცხოველი ბიხარის შტატის სამასტიპურის ოლქის ერთ-ერთ სოფელში დაიბადა. ვიდეორგოლში გამუდმებით მოკიკინე და მუდმივად ენაგადმოგდებული ცალთვალა ციკანი ქალს უჭირავს ხელში.

ცხოველის პატრონის, ფერმერ მოჰამედ აზადის თქმით, ცხოველის გარშემო მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ვილაცებმა მასზე ლოცვა დაიწყეს, ხოლო მოზარდებმა მასთან სელფები გადაიღეს.

# ამერიკელმა უცნაური ვაშლები იპოვა



ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ხისთვის გამხმარი ტოტების შეჭრის დროს უცნაური ყინულის ვაშლები აღმოაჩინა.

აღნიშნული შემთხვევა რეგიონში სახელწოდებით „ხილის მხარე“ მოხდა. ენდრიუ სიტსიმამ შენიშნა, რომ წვიმის შემდეგ ხეზე შერჩენილ ვაშლებზე ყინულის ფენა წარმოიქმნა, ხოლო როდესაც ტოტების მოჭრა დაიწყო, ვაშლები ჩამოცვივდნენ და დაიმსხვრნენ.

ამერიკელი ამტკიცებს, რომ ეს ყოველივე ჰაერის იდეალური ტემპერატურის შედეგია. მან ასევე აღიარა, რომ ეს ვაშლი მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ხილია და მას ხუმრობით ვაშლი მოჩვენება დაარქვა.

# მოუქნელ ტურისტს iPhone დათვების ვოლიერში გადაუვარდა



ჩინეთში ტურისტმა ხილის მაგივრად დათვების ვოლიერში საკუთარი ტელეფონი გადააგდო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ჩანჩჟოუს პროვინციის ქალაქ იანჩენის ზოოპარკში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ტურისტი თავის სმარტფონს ვოლიერში ისვრის, როდესაც ვოლიერის თავზე გამავალ პატარა მატარებელში ზის. ორი დათვი ტელეფონით დაინტერესდა, მათ ჯერ დასუნეს თეთრი ფერის ი ჰონეი, შემდეგ კი ერთ-ერთმა მათგანმა პირი დაავლო და წაიღო.

– ტურისტმა, რომელიც დათვებისთვის ვაშლებისა და სტაფილოს გადაყრას ცდილობდა, შეცდომით თავისი მობილური ტელეფონი გადაუგდოთ, – განაცხადა ზოოპარკის თანამშრომელმა.

მეორე დღეს ზოოპარკის თანამშრომლებმა ვოლიერიდან ტელეფონის ამოღება მოახერხეს, თუმცა ის უკვე სრულიად დამტვრეული და გამოუსადეგარი იყო. ასევე ვეტერინარებმა ცხოველებს გამოკვლევა ჩაუტარეს და დაასკვნეს, რომ მათ ტელეფონისგან რაიმე სახის დაზიანება არ მიუღიათ.

# ინდონეზიელები თევზი ფუგუთი მოიწამლნენ



ინდონეზიის ქალაქ პრობოლინგოში ოთხი ადამიანი შხამიანი თევზით ფუგუთი მოიწამლა.

შხამიანი თევზი მთელმა ოჯახმა: დედამ, მამამ და მათმა ორმა შვილმა გასინჯა. თევზი, რომელიც მათ დაიჭირეს და მოამზადეს, პირველი საჭმელი იყო, რომელიც მათ მარხვის შემდეგ გასინჯეს. მალე ოთხივეს თავბრუსხვევა, გულისრევა და ყელში სიცხის შეგრძნება დაეწყოთ.

ოთხივე საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც დედა და მამა გარდაიცვალნენ, ხოლო მათი შვილები გადარჩნენ და მკურნალობას აგრძელებენ. ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ ისინი საკმაოდ ხშირად ჭამდნენ ფუგუს, მაგრამ პირველად მოიწამლნენ. ასევე, მისი თქმით, არც კი იცოდა, რომ ეს თევზი ასეთი სახიფათო იყო.

# კბილის ექიმის თანაშემწე პაციენტებს ძვირფასეულობას პარავდა



ნიუ-იორკში კბილის ექიმის თანაშემწე დააპატიმრეს, რომელიც პაციენტებისთვის პროცედურების ჩატარების დროს ძვირფასეულობების მოპარვაშია ეჭვმიტანილი.

38 წლის ქალბატონმა სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობა იანვრის ბოლოს დაიწყო. ორივე ქურდობა, რომელიც პოლიციისთვის ცნობილი გახდა, სწორედ ამის შემდეგ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტები გაქურდვის მომენტში სრულ გონებაზე იმყოფებოდნენ, მათ ეს არ შეუნიშნავთ მანამდე, სანამ კლინიკას არ ტოვებდნენ.

მოპარულ ძვირფასეულობებს ადგილობრივ ლომბარდებში მიაგნეს. ქალი რამდენიმე დღის წინ დააპატიმრეს და მას მსხვილი ქურდობისა და ნაქურდალის შენახვის ბრალდება წაუყენეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბათუმი დამაჯერებლად ლიდერობს, აკადემიამ ლიდერებთან დახატა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ქუთაისელები მარცხს არ შეეგუვნენ და 70-ე წუთზე შოთა არეშიძეს ლელო გობეჯიშვილმა გარდასახა. შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ლელო არსენ მაჩალაძემ მიითვალა და წონასწორობა აღადგინა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო და გუნდებმა 2-2 ქულა გაიყვეს.

### ლელო სარასენსი-ჯიქი 9:29

გორის ჯიქმა თბილისის ლელო-სარასენსს მეორე ტაიმში 3 უპასუხო ლელო გაუტანა, 29:9 დაამარცხა და უშუალო კონკურენტის ბონუსით ძლევით, მოწინავე ექვსეულში შეაბიჯა.

დიდ დიღომში გამართული მატჩი საინტერესო გამოდგა და სტუმრები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ პირველი ტაიმი ერთი ქულით დათმეს. საწყის 10 წუთში დიმიტრი კალანდაძემ და ირაკლი ყიასაშვილმა ჯარიმები გაცვალეს, მე-13 წუთზე გორელებმა დერეფნიდან მოლით შეუტიეს, საჭირო მომენტში მას თორნიკე კიკნაძე მოწყდა, რომლის ლელო კალანდაძემ ვერ გარდასახა.

ჯიქმა შეძლო მეტოქის ნახევარზე ფეხის მოკიდება და წითელ ზოლში სახიფათოდ უტია, ერთხელ კი ეპიზოდის გარჩევას ვიდეო-რეფერიც დაჭირდა. მასპინძლებმა თავი რომ დაიცვეს, ტაიმის დასკვნით წუთებში თავად შეუტიეს, ყიასაშვილმა ორი ჯარიმა გაიტანა და ლელო-სარასენსს ტაიმი 9:8 მოაგებინა.

კალანდაძეს მეორე ნახევრის დებიუტში 2 ჯარიმა გაუცუდდა, აქედან ერთი გასატანი პოზიციიდან. სამაგიეროდ, გორელებმა 50-ე წუთზე ლელო გაიტანეს. მათ კვლავ დერეფნიდან შეუტიეს, მორკინალებმა 10-12 დარტყმა განახორციელეს და მიზანს გიორგი მჭედლიშვილი მისწვდა.

ამის შემდეგ ირაკლი სვანიძის ჯერი დადგა, რომელმაც 57-ე წუთზე ჯიქის ლამაზი კომბინაციის შემდეგ სუფთად გაჭრა ხაზი, ხოლო 65-ე წუთზე მეორედ გაჭრა ხაზი და დუბლი შეასრულა. კალანდაძემ სამივე ლელო გარდასახა და ჯიქმაც უშუალო კონკურენტთან უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა – 29:9.

### არმაზი-არმია 5:28

თბილისის არმიამ მარნეულის არმაზს 28:5 სძლია და დიდ 10-ში დარჩენისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ლევან ცაბაძის გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო და მე-9 ადგილოსან ვეფხვებთან ჩამორჩენა 1 ქულამდე დაიყვანა.

არმია თავიდანვე დაწინაურდა: ჯერ ბახვა კობახიძემ გაიტანა ჯარიმა, მერე გოდერძი ჭინჭარაულმა მიითვალა ლელო, ხოლო კობახიძემ გარდასახვას 30-ე წუთზე კიდევ ერთი ჯარიმა მიაყოლა. არმაზმა შესვენებამდე ვაჟა თაგაურის ლელოთი უპასუხა და ტაიმი 13:5 მორჩა.

კობახიძემ 54-ე წუთზე ჯარიმით უპირატესობა გაზარდა, ტაიმის შუაში დაჩი პაპუნაშვილმა მეორე ლელო გაიტანა, ხოლო ბოლო წუთზე ლელო კობახიძემაც მიითვალა და არმია ბრძოლაში დაბრუნდა.

## ასტროპროგნოზი

### 13 თებერვლისთვის



**ვერძი** – დაძაბული დღეა. კოლეგებთან კონფლიქტი დიდ ენერგიას წაგართმევთ. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **კურო** – ყოველგვარი უსიამოვნების სათავე თქვენი ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებაა. ეცადეთ, იყოთ ტაქტიანი და მომთმენი. **ტყუპები** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი, მეორისაგან განსხვავებით, წარუმატებელია. ნებისმიერი მოულოდნელობისათვის მზად იყავით. **ლომი** – კონფლიქტი და გაუგებრობა დიდ დროს დაგახარჯვინებთ, თუმცა სიტუაცია მაინც თქვენ სასარგებლოდ შეტრიალდება. **ქალწული** – ყურადღებით აკონტროლეთ ფინანსები. გასავალი შემოსავალს არ უნდა აღემატებოდეს. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. დღის მეორე ნახევარში ახლობლების მხარდაჭერას იგრძნობთ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. ფორტუნა გიღიმით, მაგრამ გახსოვდეთ – უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. **მშვილდოსანი** – მოუგვარებელი პრობლემები თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და მყისიერ რეაგირებას მოითხოვს. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – საყიდლებზე ნუ წახვალთ. ნავაჭრი იღბლიანი არ იქნება. შრომის ნაყოფიერება მაღალია. **მერწყული** – წვრილმანი პრობლემები დაგღლით. მოგიწევთ ახლობლებზე ზრუნვა. **თევზები** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარ თავზე კონტროლს ნუ დაკარგავთ. ნებისმიერი საქმე თქვენგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული; 3. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 6. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. საბერძნეთის პრემიერ მინისტრი; 10. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.

**თარაზულად**: 1. წმინდა ოქრო; 3. მამაკაცის ძველებური ფრანგული პალტო; 8. კუთხე საქართველოში; 9. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 14. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. ქართული ნაციონალური კერძი; 17. ტაბურეტი რბილი დასაჯდომით; 20. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი; 22. წვრილი წვიმა; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. მუსლიმანთა სასულიერო პირი; 27. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველებური სახელწოდება; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიჯი; 2. დურდო; 3. ბრინჯი; 4. ყველი; 6. ჭიაურელი; 8. თედიაშვილი; 10. ლიპტონი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. შაპიტო; 16. სეიკო.

**თარაზულად:** 1. ფიორდი; 4. ტყაპუჭი; 7. უჯრედი; 9. ჯეჯილი; 11. იდიოტია; 12. სკალპელი; 13. ეტრატი; 17. მალაგა; 18. ჯინი; 19. ოპტიმიზმი; 20. ლინოტიპი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყელი; 2. აბე; 3. ბოტანიკა; 4. გო; 5. ალკატელი; 6. ჟაკო; 7. ტასმანი; 10. დეპო; 11. ზავენტემი; 12. ჰელვეცია; 13. ვანი; 16. ფეიხოა; 18. ნიკოზია; 19. აფონია; 21. სვავი; 24. კოშმა.

**თარაზულად:** 1. ყვირილა; 3. ბოტეგა; 8. ალკალა; 9. ლუდი; 14. შპრეე; 15. ბატუტი; 17. ლალი; 20. კონუსი; 22. ლხინი; 23. ფრესკა; 25. შჩი; 26. ხაჭო; 27. დოლი; 28. შიომღვიმე.

# გიორგი ნაკაშიძე დაწყევლეს



„საქართველოს ვარსკვლავის“ ერთ-ერთი მონაწილე, მომღერალი გიორგი ნაკაშიძე დაწყევლეს.

„იქს ფაქტორის“ გამარჯვებული ბათუმელი მომღერალი მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობს და სურს საქართველო ევროვიზია 2019-ზე წარადგინოს.

ინტერნეტმომხმარებელმა ზოია ლაგვილავამ მომღერალს სახლში დარჩენა და მსგავს კონკურსებში მონაწილეობაზე უარის თქმა ურჩია და დაწყევლა კიდეც – „შენ მოუკვდი დედაშენსო“. ამ განცხადებას საზოგადოების მხრიდან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „საქართველოს ვარსკვლავის“ ინტერნეტგვერდის ხელმძღვანელებმა ზოია ლაგვილავას განცხადება წაშალეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მამუკა ლომაშვილი მთავრობას აკრიტიკებს



საბავშვო სტუდია „მაჩაბელას“ ხელმძღვანელი, იუმორისტი და რეჟისორი მამუკა ლომაშვილი მთავრობას აკრიტიკებს და გაძვირებულ ცხოვრებაზე წუხს:

– პური 1.05 გახდა, სიგარეტმა კატასტროფულად მოიმატა, ფქვილი გაძვირდა, ტექდათვალიერება ყველას, მძღოლის დაზღვევა სავალდებულო ხდება, მანქანის დაზღვევაც, საქონლის მყოლი გლეხები, რომლებიც რძეს ყიდიან, უნდა დარეგისტრირდნენ და ფული იხადონ დამატებით, მარტიდან მობილური სასაუბრო პაკეტი 5 ლარით ძვირდება... ტრანსპორტიცო, ახლა დენის და გაზის გადასახადზე იმხელა სხვაობა მოვიდა, და უკაცრავად, ვისაც იმხელა არა აქვს, გაწელოს და უკან შეიტრიალოს, რა უნდა ქნას?

# ბარბარა სამხარაძე ნაშვილები ჰგონიათ



„ნიჭიერის“ გამარჯვებული ბარბარა სამხარაძე ნაშვილები ჰგონიათ. ამის მიზეზი ბარბარასა და მის დას ნანუკას შორის არსებული განსხვავებაა:

– ხშირად მეკითხებოდნენ, ვიყავი თუ არა ნაშვილები, თან ჩემ დას აბრალებდნენ, რატომ იტყუები, ბარბარას და სად ყავსო. ეს, რა თქმა უნდა, ბოროტი ენების ბრალი იყო.

ერთად რამდენი გავიარეთ, ყველას ჩემი მეგობარი ეგონა, მაგრამ ჩვენი გრაფიკიდან გამომდინარე, ეს ხშირად არ ხდება. ყველაზე მეტად ჩვენს დობაში რაც მიყვარს არის ის, რომ ერთმანეთს არ ვუქებთ გაკეთებულ საქმეს, სულ კრიტიკული თვალით ვუყურებთ, სანამ სხვა დაინახავს და აღნიშნავს, შეცდომებსაც ვასწორებთ.

ისიც მიფიქრია, ძმა რომ მყოლოდა მის მაგივრად, რა იქნებოდა, ან როგორი ურთიერთობა გვექნებოდა.

ნუ მოკლედ, მე მყავს და... თან რა და... გზა, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ და გავდივართ, არავის არ გაქვთ გავლილი, ვერც ვერავინ გაიგებს ათასი ახსნა განმარტება გავაკეთო.

# მამაკაცი შეეცადა ციხეში ჩამჯდარიყო, მაგრამ არ გამოუვიდა



ამერიკის ქალაქ ახალ ორლეანში მკვლელობისა და შეიარაღებული ძარცვისთვის ძებნილი ეჭვმიტანილი შეეცადა საკუთარი სურვილით ჩაბარებულიყო და ციხეში ჩამჯდარიყო, თუმცა მცველებმა მის დაკავებაზე უარი თქვეს.

სავარაუდოდ, 2018 წლის 18 სექტემბერს ფრენკ სემსმა თანამზრახველ ფარნელ ჯექსონთან ერთად გაძარცვა ავტოგასამართი სადგური და მისი ერთ-ერთი თანამშრომელი მოკლა. ჯექსონი პოლიციას რამდენიმე დღეში ჩაბარდა, ხოლო 2019 წლის 10 იანვარს მისი საქმის სასამართლო განხილვა გაიმართა, რომლის დროსაც დამნაშავეებს სამუდამო პატიმრობა დაემუქრათ.

შესაძლო განაჩენის გაგების შემდეგ სემსი ადვოკატს კელი ორიანს დაუკავშირდა და მან ურჩია, რომ ხელისუფლებას საკუთარი ნებით ჩაბარებოდა. რამდენიმე დღის წინ მამაკაცი ორიანსის თანხლებით მივიდა ადგილობრივ ციხეში და ჩადენილი დანაშაული აღიარა. მცველებმა მას არ დაუჯერეს და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვეს, რომელიც მას თან არ აღმოაჩნდა.

– მე მხოლოდ მეცინებოდა ამ სიტუაციაზე, – განაცხადა ადვოკატმა. ციხის თანამშრომლებმა სემსი შიგნით მხოლოდ მას შემდეგ შეუშვეს, როდესაც მან გაზეთიდან ამონაჭერი წარუდგინა, რომელშიც მისი ფოტოსურათი იყო წარწერით „იძებნება“.

მამაკაცი მეორე ხარისხის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა 500 ათასი დოლარის გირაოს სახით გადახდის შემთხვევაში საპატიმროს დატოვებას შეძლებს. მისი საქმე სასამართლოს განმეორებითი განხილვისთვის გადაეცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ვალებში ჩავარდნილმა გამყიდველმა ლატარიის ბილეთები მოიპარა, მაგრამ აქაც არ გაუმართლა



დიდი ბრიტანეთში გამყიდველმა მაღაზიიდან 1,5 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების მომენტალური ლატარიის ბილეთების მთელი დასტა მოიპარა, თუმცა ვერაფერი მოიგო.

შოტლანდიის ქალაქ გუროკის მკვიდრი ენდრიუ ლოკრი 2017 წლის 1 აგვისტოდან 24 ოქტომბრის ჩათვლით სამსახურში რეგულარულად იპარავდა მომენტალური ლატარიის ბეილეთებს. როგორც მისი ადვოკატი ამტკიცებს, 28 წლის მამაკაცი ამას თავისი უზარმაზარი ვალების გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი აკეთებდა.

როდესაც ქურდობის ფაქტი გამოვლინდა, ლოკრიმ დაწესებულების ხელმძღვანელების წინაშე გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული. მაღაზიის ხელმძღვანელობამ თანამშრომლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სასამართლოს დასკვნით სხდომაზე ლოკრის ადვოკატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მომხდარის გამო წუხს და სრულად ინანიებს. პროკურორმა ხუმრობით აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ განსასჯელმა ვერაფერი მოიგო, მისთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

მოსამართლემ ლოკრის 200 საათის საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შესრულება მიუსაჯა. მან ეს სასჯელი ცხრა თვის განმავლობაში უნდა მოიხადოს. ასევე მან მაღაზიას მოპარული ბილეთების საფასური 1,5 ათასი ფუნტი სტერლინგი უნდა გადაუხადოს.

# ხორცისმჭამელთა შორის საქართველო ევროპაში ბოლო ადგილზეა



გლობალური მასშტაბით, საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარება 1961 წლიდან დაახლოებით 20 კგ-ით გაიზარდა. გაეროს მონაცემებით, 2014 წელს ერთი ადამიანი საშუალოდ 43 კგ ხორცს მოიხმარდა. ინფორმაციას ამის შესახებ euronews.com ავრცელებს.

ევროპელები და ჩრდილოეთი ამერიკის მცხოვრებლები საშუალო მონაცემზე გაცილებით მეტ ხორცს მოიხმარენ და ეს დაახლოებით 80კგ-ს შეადგენს. ყველაზე მაღალი მოხმარება დაფიქსირებულია ესპანეთში (94.04 კგ) და ავსტრიაში (90.87კგ).

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია: საქართველოში (27.89 კგ), აზერბაიჯანში (31.1კგ), ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში (32.21კგ).

შედეგების მიხედვით, ევროპის აღმოსავლეთ ქვეყნებში მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, რაც, შესაძლოა, საშუალო შემოსავლის რაოდენობას უკავშირდებოდეს.

# ტყვიით ზურგში დაჭრილმა ქალმა იმშობიარა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ავტომობილს, რომელშიც ფეხმძიმე ქალი თავის ოჯახის წევრებთან ერთად იჯდა, უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგაც დაჭრილ ქალს მოუხდა მშობიარობა.

ინციდენტი ქალაქ მიდელბურგში მოხდა. 31 წლის რენსკე ერასმუსი, მისი 38 წლის მეგობარი მამაკაცი კრისტო მალდერი და ქალის სამი, ოთხი, შვიდი და ცხრა წლის შვილები მანქანით სახლში მიდიოდნენ. როდესაც მთავარი გზიდან სოფლის გზაზე გადაუხვიეს, მათ თავს მძარცველები დაესხნენ. მამაკაცმა ჩასაფრება ვერ შენიშნა და მანქანიდან შლაგბაუმის ასაწევად გადავიდა.

მძარცველებმა მანქანას ხუთი ტყვია ესროლეს. ორ-ორი ტყვია მოხვდათ ერასმუსსა და მალდერს. ქალი მანქანის საჭესთან გადაჯდა, გამშვები პუნქტის შლაგბაუმი გაანგრია და ქალაქისკენ გაიქცა. მას ყურადღება პატრულმა მიაქცია და დახმარება აღმოუჩინეს. მალე ადგილზე მივიდა დაჭრილი მალდერიც.

ქალი და მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც კი ექიმებმა ერასმუსის მდგომარეობის დასტაბილურება შეძლეს, ქალს სამშობიარო ჭინთვები დაეწყო. ექიმებს მისთვის საკეისრო კვეთის გაკეთება დასჭირდათ, რის შედეგადაც ქალმა 3,6 კილოგრამი წონის და 50 სანტიმეტრი სიმაღლის სრულიად ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ზურგში ტყვია ჰქონდა გაჭედილი.

ექიმის დეონ ვან დერ მერვეს თქმით, რომელმაც ქალს ოპერაცია გაუკეთა, ამ ბარბაროსული თავდასხმის მონაწილეებს ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ვერც ქალი და ვერც მისი მეგობარი მამაკაცი ვერ გადარჩებოდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



ივანე ჯაფარიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, არაერთი ეროვნული საქმის მოთავე და ხელმძღვანელი, მრავალმხრივი მოღვაწე, უღალატო და საიმედო მეგობარი, სიკეთით სავსე პიროვნება, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

**ბენია თხილავა**

და თანაუგრძნობს ოჯახს მწუხარებაში.

გვაძაბიების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი ადამიანი, კარგი მეგობარი და მეოჯახე

**ნოდარ გვაძაბია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.646 |
| ევრო | 2.9908 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4139 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0253 |

## ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

### „მე მიყვარს კითხვა“

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**12 თებერვლიდან**

სულხან საბა ორბელიანი

**სიბრძნე სიცრუისა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

**15 თებერვლიდან**

გუსტავ ფლობერი

**მადამ ბოვარი**



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



**7 თებერვლიდან**

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## იუმორი

გვიან ღამით, ძილ-ბურანში მყოფ ცოლს მეუღლის სიტყვები ჩაესმის:

– საყვარელო, მოდი სექსით დავკავდეთ.

ცოლი ნამძინარევი ხმით პასუხობს:

– ძალიან დავიღალე, თავიც მტკივა...

ქმარი კი პასუხობს:

– დაიძინე, დაიძინე, შენ არ გეუბნები, ტელეფონზე ვლაპარაკობ...

•••

– წითელქუდა! – წამოიძახა გოგონას დანახვაზე მგელმა.

– ბეწვის ქურქი! – წამოიძახა გოგონამ.

•••

საიუველირო მაღაზიაში შესულ მამაკაცს გამყიდველი გოგონა ფართო ღიმილით შეეგება და ეუბნება:

– რა კარგია, რომ ჩვენ მაღაზიაში შემოხვედით. ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით 20 პროცენტიანი ფასდაკლება გვაქვს. უყიდეთ რამე თქვენს შეყვარებულს. აი, თუნდაც ეს გულის ფორმის ოქროს ყელსაბამი. დარწმუნებული ვარ, თქვენ შეყვარებულს ძალიან მოეწონება.

– არ მყავს შეყვარებული...

– შეუძლებელია, ასეთ წარმოსადეგ, ლამაზ, ტანად მამაკაცს შეყვარებული არ ჰყავდეს. და რატომ?

– ცოლი არ მაძლევს მაგის უფლებას...

•••

კლასში შესული მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– დღეს საკლასო წერა გვაქვს.

– მასწავლებელო, კალკულატორით სარგებლობა შეიძლება? – ეკითხება მოსწავლე.

– ჰო, გიგი. ბავშვებო, დღევანდელი საკონტროლო წერის თემა იქნება ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ტელეფონზე ურეკავს და ეკითხება:

– აბა, როგორ ხარ? დიდი ხანია არ მინახიხარ. როგორ მიდის შენი ცხოვრება დაოჯახების შემდეგ?

– ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ!

– რა, ცოლი გვერდით გიდგას?

– ძალიან კმაყოფილი ვარ!

– გამაგრდი მეგობარო, გამაგრდი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ელისაბედ II-ს 97 წლის მეუღლემ მართვის მოწმობაზე უარი განაცხადა



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს 97 წლის მეუღლემ, ედინბურგის ჰერცოგმა ფილიპმა საკუთარი სურვილით თქვა უარი მანქანის მართვის მოწმობაზე. ამ ინფორმაციას ბუკინჰემის სასახლეზე დაყრდნობით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

სამეფო ოჯახის წევრმა ეს ნაბიჯი მას შემდეგ გადადგა, როდესაც ის გასულ თვეს ნორფოლკში მომხდარ ავარიაში მოყვა. მაშინ მისი ლენდ როვერი მეორეხარისხოვანი გზიდან მთავარ გზაზე გასვლის დროს სხვა მანქანას დაეჯახა და გადაბრუნდა. ამ შემთხვევის დროს პრინცი არ დაშავებულა და უკვე ერთი კვირის შემდეგ ის ისევ შენიშნეს მანქანის საჭესთან.

ავტოსაგზაო შემთხვევის მეორე მონაწილემ, 46 წლის ემა ფეირუზერმა პრინც ფილიპის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამიერიდან გზები უფრო უსაფრთხო გახდება და იქვე დაამატა, რომ პრინცს ამის გაკეთება უფრო ადრეც შეეძლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ეკატერინე ჭავჭავაძის უცნობი ტილო ერმიტაჟში აღმოაჩინეს



ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ეკატერინე ჭავჭავაძის უცნობი ტილო ერმიტაჟშია დაცული სახელწოდებით „შუახნის ქართველი ქალბატონი“.

სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფლის ნახატი ისტორიკოს გიორგი კალანდიას მისმა აზერბაიჯანელმა მეგობარმა ბეჰრუზ ჰუსეინზადემ გადაუგზავნა:

– ეს ბრწყინვალე ნამუშევარი გვიან ღამით ჩემმა აზერბაიჯანელმა მეგობარმა ბეჰრუზ ჰუსეინზადემ გადმომიგზავნა. ნახატი ერმიტაჟშია დაცული სახელწოდებით „შუახნის ქართველი ქალბატონი“.

ფოტოს დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ საქმე უნიკალურ ამბავთან გვაქვს. ეს შუახნის ქალბატონი, სინამდვილეში წინანდლის ვარდი, ტატოს სატრფო და სამეგრელოს ბანოვანი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძეა! აფერუმ, შენ, დედოფალო, წლებმა ვერაფერი დაგაკლო.

შენი სიდიადე დღესაც ბრწყინვალედ გამოსჭვივის ამ ნახატიდან!

## თამთა გოდუაძე „ევროვიზია 2019“-ში კვიპროსის სახელით მონაწილეობს



ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე ევროვიზია 2019-ზე კვიპროსის სახელით მიიღებს მონაწილეობას.

„რიფლეი“ (გამეორება) – ასე ჰქვია სიმღერას, რომლითაც 38 წლის ქართველი მომღერალი ევროპელი მაყურებლის წინაშე წარდგება.

თამთა წლებია უცხოეთში ცხოვრობს და წარმატებული მუსიკალური კარიერა აქვს. იგი საქართველოში მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც „იქს ფაქტორის“ მესვეურებმა ჟიურიში მიიწვიეს და თამთამ პირველივე სეზონზე თორნიკე ყიფიანთან ერთად გამარჯვება მოიპოვა.

## არხში მოხვედრილი დელფინი მთელმა სოფელმა გადაარჩინა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ათეულობით ადგილობრივმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა იშვიათი სახეობის განგის დელფინის გადარჩენაში, რომელიც სარწყავ არხში აღმოჩნდა და დაღუპვა ემუქრებოდა.

80 კილოგრამიანი ზღვის ცხოველი ერთ-ერთი სოფლის მახლობლად გამავალ სარწყავ არხში შენიშნეს. სავარაუდოდ, ის იქ მდინარე გხაგხარადან მოხვდა, რომელსაც სარწყავი არხი სოფლიდან 20 კილომეტრში უერთდება.

ხალხის გამოჩენისთანავე დელფინი მიცურავდა და თავის დაღწევას ცდილობდა. სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა დამოუკიდებლად მასთან გამკლავება ვერ შეძლეს და დახმარებისთვის სოფლელებს მიმართეს.

არხში წყალი დაწყვიტეს, რის შემდეგაც მასში სათევზაო ბადეებით შეიარაღებული ასზე მეტი ადამიანი ჩავიდა. ცხოველი არხიდან ამოიყვანეს და სატვირთო მანქანაზე მოათავსეს, შემდეგ კი მდინარესთან მიიყვანეს და გაუშვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბაჩო ქაჯაიას „ღამის შოუ პირველზე“ ეთერში 14 თებერვლიდან გავა



ბაჩო ქაჯაიას იუმორისტული შოუ „ღამის შოუ პირველზე“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 14 თებერვლიდან გავა.

ბაჩო ქაჯაია და ღამის შოუ სტუდიის გუნდი გადაცემის ბოლო დეტალებს აზუსტებენ. დავით გოგიაშვილის გუნდს რუსთავი 2-დან შეუერთდნენ იუმორისტები თეიმურაზ პატარიძე და გიგა ტაბიძე, რომელიც „ჭამე ნოდარის“ სკეტჩით მთელმა საქართველოს გაიცნო.

ეთერში გასვლამდე ბაჩო ქაჯაიამ არაერთი ვიდეორგოლი გადაიღო, სადაც გადაცემისთვის საჭირო სტუდიას ეძებდა. საბოლოოდ იუმორისტმა სასურველ სტუდიას მიაგნო და ეთერში გასასვლელადაც მზად არის.

„ღამის შოუს პირველზე“ მუსიკალურად მომღერალი ია ტომაში და მისი ბენდი გააფორმებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. ოპერა „ტრავიატას“ მუსიკის ავტორი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 6. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. საკანცელარიო ნივთი; 12. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. დიდი სპორტული შეჯიბრება აფრიანი, ნიჩბიანი და მოტორიანი ნავებით; 16. წყალსა და წებოში გაქნილი სახატავი საღებავი.

**თარაზულად**: 1. მდინარე პრაღაში; 4. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 7. აჭარული ცეკვა; 9. ბოშათა წინამძღოლი; 11. რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 17. მაკედონიის დედაქალაქი; 18. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. უბანი ქუთაისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

